


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, მტკიცე ბეჭდურ სიფყვას, ცყვილებით და ჩაბრებით ბუდის გაცანა ყველა უკადრისდამაგე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.


ოთხშაბათი, 15 მაისი, 2013 წელი.

№88 (7215)

რუსულენოვანი

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

ბიძინა ივანიშვილი: რუსეთისთვის დასათმობი აღარაფერი გვაქვს



ტელეკომპანია „იბერია“ 5
კანონიერ გულგულს უნდა დაუბრუნდეს!

სააკაშვილის ყველაზე მძიმე დანაშაული, რომელსაც გამოჰქივბა არ სჭირდება

3 დაღუპული და რამდენიმე დაჭრილი 3

უმცროსი სერგეი ზვიად დავითაძე კარლო ალექსანდრე ვიწინაძე კარლო ვლადიმერ მანავ

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ავღანეთში გმირი ძარტველი ვაჟკაცების დაღუპვის გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილთა ოჯახებსა და ახლობლებს.

ვანი, შე უხუცესი საქართველო, ეს ვის ხელში, რა ავადმყოფი ადამიანის ხელში იყავი 9 წელი და, ნაწილობრივ, დღესაც ხარ აპერიკის „წყალობით“!

6

საია სააკაშვილს სასამართლოში უჩივის 7

სამართალი 3
უნდა აღდგას - რეჟიმი უნდა გასამართლდეს!

4 **ღია ნერილი ინტელიგენციას**

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვვაგან ვერ ნახავ!..

ბიძინა ივანიშვილი: რუსეთისთვის დასათმობი აღარაფერი გვაქვს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა ჟურნალისტებთან 2013 წლის 14 მაისს

„სიამოვნებით წავიდოდით რუსეთთან კომპრომისზე, მაგრამ ჩვენ დასათმობი აღარაფერი გვაქვს, — განაცხადა გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან გუშინდელ შეხვედრაზე იმ შეკითხვის საპასუხოდ, სომ არა აქვს ახალ ხელისუფლებას რუსეთთან კომპრომისული ფორმულა იმისთვის, რომ ნატოში საქართველოს გაწევრებას ხელი არ შეუშალოს.

ივანიშვილის თქმით, საქართველოს მთავრობა ორივეს მიაღწევს — რუსეთთანაც და ახალ ხელისუფლებას ურთიერთობებს და ნატოს წევრიც გახდება.

„ჩვენ ორივეს გავაკეთებთ. არ უნდა შევხედოთ აგრესიულად იმას, რომ რუსეთი საქართველოს ნატოში გაწევრების წინააღმდეგია. ასეთი დამოკიდებულება რუსეთს ჰქონდა ბევრი ქვეყნის მიმართ, მათ შორის ბალტიის ქვეყნების, პოლონეთის და ა.შ. ის, რომ რუსეთის დამოკიდებულება ასეთი არ იყო, იდეალური იქნებოდა, მაგრამ რადგან ნატოში შესვლა მოახერხეს სხვებმა, რატომ არ შეიძლება ჩვენც მოახერხოთ — ეს ჩვენი ვალა და მე არ მიმჩნია წამოუდგენლად“.

წინა ხელისუფლების შეცდომის შედეგია, თორემ ნატოს წევრი უკვე იქნებოდით. რომ არა რუსეთისადმი მისი გამაფრებელი რიტორიკა, პიონერული და კომპაგნიური გამოხტომები, საქართველო დღეს ნატოს წევრი უნდა ყოფილიყო და რუსეთთანაც ნორმალური ურთიერთობები გვექონოდა. ჩვენ აღარ დავუშვებთ შეცდომებს.

ბიძინა ივანიშვილის თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთ-ერთი ძლიერი რგოლია და ის, რაც ირაკლი ლარიბაშვილის პირველი მოადგილის გელა ხვედელიძის მაგალითზე მოხდა, არ უნდა იქნას აღქმული, რომ უწყება სუსტად მუშაობს.

„პირიქით, შსს ერთ-ერთი ძლიერ რგოლია, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, — ნახეთ, რა მოხდა სამინისტროში, როგორ მუშაობს ირაკლი ლარიბაშვილი. ცუდია, თუ საზოგადოება ფიქრობს, რომ ის არის სუსტი რგოლი. სამწუხაროა, რაც მოხდა, თუ ეს მიგაჩნიათ სისუსტედ, გეთანხმებით, მაგრამ მთავარია, რა რეაქციაც მოჰყვა გელა ხვედელიძის ქმედებას — როგორ ფიქრობთ, მისი მიჩქმალვა რთული იყო? მაგრამ ჩატარდა კეთილშინდისიერი გამოძიება, და სხვათა შორის, ამაში ლაშა ნაცვლიშვილს ლომის წილი აქვს, კილაძე და ვილაძეები რომ მის გადადგომას ითხოვენ და არავითარი საფუძველი არ გააჩნიათ. შეადარეთ გირგვლიანის მკვლელობის საქმეს, ნახეთ, ჩვენ პატარა დანაშაულზე როგორ დავსაჯეთ მინისტრის მოადგილე. წინა ხელისუფლების პირობებში კი ადამიანის მკვლელობაში მონაწილეები რამდენ ხანს „გულაობდნენ“. ასე რომ, შინაგან საქმეთა



სამინისტრო არის ძლიერი რგოლი. სუსტი აღმოჩნდა თავად ხვედელიძე, ძალიან სანწყინია და ძალიან განზილებული ვარ, მაგრამ არავინ დაფიქრებულა, რომ კანონისთვის გვერდი აველო და მისთვის რაღაც შეღავათი მიეცა“.

რაც შეეხება პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის არქივს, პრემიერის თქმით, რადგან ახალმა მთავრობამ მისი დაცვა ვერ მოახერხა, ეს უკვე საკმარისი საფუძველია იმისა, რომ ჩანანერები განადგურდეს.

პრემიერ-მინისტრი მთავრობის ეკონომიკური გუნდის „სუსტ რგოლად“ ეკონომიკის სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელ გიორგი კვირიკაშვილს არ მიიჩნევს.

„ვფიქრობ, წარმატებული გუნდი გვყავს და, მათ შორის, გიორგი კვირიკაშვილიც. ეკონომიკური აღზევება პირდაპირ ეკონომიკის სამინისტროს არ უკავშირდება. კვირიკაშვილი ძალიან წარმატებული და წესიერი კაცია. ასეთივე მაგარია ნოდარ ხადურცი — ძალიან წარმატებით ართმევს თავის თავის ფუნქციებს. ერთი სიტყვით, ვფიქრობ, კარგი მინისტრები გვყავს. მინისტრებს შორის კონკურსი ტყუილად არაა“, — განაცხადა ივანიშვილმა.

„მე ვფიქრობ, რომ საშუალო და მცირე რგოლზე ამინსტიის შემოღება მოგვიწევს. პროცესები ხურდება, იცოდეთ. ჯერ მე, როგორც ვიცო, პროკურატურაში ძალიან ბევრი განცხადებაა შესული. მუშაობა მიმდინარებს და არ იქნება სასურველი მასობრივი სასჯელები და დაპატიმრებები მოხდეს საქართველოში, რისი ეჭვებიც არსებობს. მე ვფიქრობ, რომ საშუალო და მცირე რგოლზე ამინსტია საჭირო გახდება“, — აღნიშნა პრემიერმა.

„მრწამსი ბანკის მართვებზე კეთილი ინებოს, თავი დაანებოს პოლიტიკურ განცხადებებს და საკუთარ საქმეს მისწოდოს, — განაცხადა პრემიერმა. მე მას რამდენიმე შეხვედრა და ლამის პატიება მისოვს, „ქართუ ბანკში“ განხორციელებული ზენოლის გამო, რაშიც ის მონაწილე-

ობდა. მე მას აღვუთქვი, რომ რაც პირადულია და ჩემგან მოდის, შემიძლია, მაქსიმალურად დავიცვა და ვიყო კორექტული. მას აქვს თავისი ფუნქციები და მგონია, ბოლო დროს ძალიან პოლიტიკური განაღობა. ეროვნული ბანკი არის დამოუკიდებელი სტრუქტურა და კეთილი ინებოს, თავი დაანებოს პოლიტიკას“.

მმრც ჟურნალისტები და ვერც ცალკეული პირები ვერ გადაწყვეტენ, ვინ როდის უნდა გადადგეს, განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვაზე, გამოძიების დროს სომ არ უნდა ჩამოშორდეს დროებით თანამდებობას მთავარი პროკურორის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი.

„ლაშა ნაცვლიშვილი იმიტომ უნდა გადადგეს, რომ ელისო კილაძეს ასე სურს? გამოძიება გრძელდება. ის, რომ ელისო კილაძე და სხვებიც რაღაცას აცხადებენ, ამას არ აქვს არავითარი საფუძველი. ჯერ არც ერთი ბრალდება არ არის წარმოდგენილი მათი მხრიდან და რამდენიმე კვირაა, აჟიოტაჟი გრძელდება. ამ აჟიოტაჟის მსხვერპლი გახდა გელა ხვედელიძეც. მის წინააღმდეგაც მათ არავითარი საბუთი არ წარმოუდგენიათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ის სუსტი პროკურა აღმოჩნდა და გამოიყენა ის მასალები, რომლებიც გადაღებული იყო წინა ხელისუფლების მიერ. ის კანონის შესაბამისად დაისჯება“, — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერმა აღნიშნა, რომ არც ერთი მამკომპრომეტირებული მასალა არ წარმოუდგენია არავის, თუ რატომ უნდა დაისაჯონ გია ხუბაშვილი, ლაშა ნაცვლიშვილი და გელა ხვედელიძე.

„ირაკლი ლარიბაშვილი ღირსეულად მოიქცა. როდესაც ნახა, რომ მისი მარჯვენა ხელი კანონს არღვევს, არ დაზოგა“.

რაც შეეხება გია ხუბაშვილს, მას დაურევს ელისო კილაძემ და სხვებმა. მას უთხრეს, რომ შენთან პრეტენზია აღარ გვაქვსო. გიამ უპასუხა, რა ვქნა ახლა მადლობა გადაგიხადოთ, რომ ჩემთან პრეტენზია აღარ გექვთო? ამდენი ხანია ტალახში მსვრიდითო, — განაცხადა პრემიერმა.

ხოლო რაც შეეხება გელა ხვედელიძეს, იგი დაექვემდებარება კანონმდებლობას და მოიხდის იმ სასჯელს, რასაც კანონით იმსახურებს, — თქვა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, ხვედელიძე არ იყო „ქართული ოცნების“ რიგითი წევრი და მისი დაკავებით ახალმა ხელისუფლებამ ხაზი გაუსვა საკუთარ ხელწერას — კანონის წინაშე ყველა თანაბარია.

„ხუდონკისის“ საკითხი ისე ვერ გადაიჭრება, რომ მთელი საზოგადოება კმაყოფილი დარჩეს, იმდენად განვიცდი, რომ ღამეები არ მიძინავს, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, უჭირს აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილების საკუთარ თავზე აღება, რადგან სწავნეთი ძალიან უყვარს, თუმცა, მეორე მხრივ, ქვეყანას ელექტროენერგია სჭირდება.

ივანიშვილის თქმით, მთავრობა გარემოსდაცვითი ორგანიზაციების რეკომენდაციებს ითვალისწინებს და სწორედ მათი გათვალისწინებით, პროცესში საერთაშორისო დონის ექსპერტები და დამკვირვებლები ჩართო, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა.

ბიძინა ივანიშვილი „სამართლიანობის აღდგენის პროცესის“ გაჭიანურების მიზეზს განმარტავს.

პრემიერ-მინისტრმა „სამართლიანობის აღდგენის პროცესის“ გაჭიანურების მიზეზი განმარტა და აღნიშნულს „ორმაგად დაზღვეულ გამოძიებას“ უკავშირებს.

„ის, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი ჭიანჭურდება, მეც ძალიან მაშფოთებს, მაგრამ პროკურატურა და სამართალდამცავი სტრუქტურები აკეთებენ იმას, რაც შეიძლება, უბრალოდ ჩვენი გუნდის თხოვნა და დავალებაა, რომ ორმაგად დაზღვეული გამოძიება გაკეთდეს. ეს დამატებითი ვალდებულება დაანვა გამოძიებას. ამან ყველაფერმა „იმუშავა“ და პროცესები გაჭიანურდა, მაგრამ საზოგადოებას მოთმინების კენ მინდა საკმარისი. ეს საჭიროა იმისთვის, რომ ჩვენ ვისწავლოთ ევროპულად ცხოვრება. შეიძლება ზედმეტადაც ვფრთხილობდეთ, მაგრამ ეს იმისთვის, რომ ევროპელებს დაუშვით ჩვენი ევროპელობა, ამერიკელებს კი ვაჩვენოთ, რომ შერჩევითი სამართალი არ გვაქვს“.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პრემიერის გადაჭარბებული უფლებამოსილებები დაბალანსდება, განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისი თქმით, იქმნება საკონსტიტუციო კომისია, რომელიც კონსტიტუციაში ცვლილებებზე იმუშავებს.

„პრემიერის გადაჭარბებული უფლებამოსილება აუცილებლად დაბალანსდება. არჩევნებამდე ალბათ ვერ მოესწრება. არჩევნების შემდეგ არ გავგიჟდები, ნუ გეშინიათ“.



გვაგაბრე, უფალო!

ერის ტრაგედია

ვ დღეულის და რამდენიმე დაჭრილი

ველმანდის პროვინციაში, ბაზა „შირ-გაზზე“, ავღანეთის საერთაშორისო მისიაში მონაწილე ქართველი სამხედროების ბაზაზე, აქამდე ყველაზე მასშტაბური ტერორისტული თავდასხმა განხორციელდა. არსებული ინფორმაციით, ბაზაზე, სადაც 42-ე ბატალიონის დისლოცირებული, თვითმკვლელმა ტერორისტმა და მემამბოხეთა ჯგუფმა იერიში მიიტანა.

ძლიერი აფეთქების შედეგად ტერორისტთა 5-კაციანი ჯგუფი ბაზაზე შეიჭრა. ქართველმა სამხედროებმა თავდასხმა მოიგერიეს და ყველა ტერორისტი ადგილზე გაანადგურეს. შეტევის შედეგად გარდაიცვალა სამი სამხედრო მოსამსახურე, დაჭრილია რამდენიმე ჯარისკაცი.

გარდაცვლილია კაპრალი ალექსანდრე კვიციანიძე, უმცროსი სერჟანტი ზვიად დავითაძე და კაპრალი ვლადიმერ შანავა. რაც შეეხება დაჭრილებს, როგორც ირაკლი ალასანიას ამბობს, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპისთვის დამაკმაყოფილებელია, დაჭრილებს ადგილზე ჩაუტარდათ სამედიცინო დახმარება. დაჭრილი ქართველი სამხედროების საერთაშორისო კლინიკაში გადაყვანის აუცილებლობა არ არსებობს.

„მინდა, მივუსამძიმრო ამ გმირი სამხედროების ოჯახებს ეს აღწერა თუ არა დასაძინებელი და მთელ საქართველოს ეს დიდი ტრაგედია. ჩვენ ამ უმძიმეს ტრაგედიაზე განვიცდით, ისე, როგორც ამ გმირი მებრძოლების ოჯახის წევრები და სა-

ქართველოს თითოეული მოქალაქე, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

— კიდევ ერთხელ მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ქართველი სამხედროების თავდადება და გმირობა, სწორედ ამ თავდადებაზე და სამხედროების პროფესიონა-



უმცროსი სერჟანტი ზვიად დავითაძე

კაპრალი ალექსანდრე კვიციანიძე

კაპრალი ვლადიმერ შანავა

ლურმა მოქმედებამ აგვაცილა გაცილებით უფრო დიდი ტრაგედია, — თქვა თავდაცვის მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ ავღანეთში საქართველო 1600 ჯარისკაცით არის წარმოდგენილი. საერთაშორისო ოპერაციაში საქართველო შეიარაღებული ძალების ქვედანაწილი 2004 წლიდან იღებს მონაწილეობას. ოფიციალური მონაცემებით, ამ პერიოდის განმავლობაში ასეულის ქვედანაწილი 10-ჯერ გაიზარდა. 2012 წლის სექტემბრიდან საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილით, ავღანეთის საერთაშორისო მისიაში საქართველოს წვლილი გაორმაგდა.

ოფიციალური მონაცემებით, ბოლო

სამი წლის განმავლობაში საქართველომ ავღანეთში 19 სამხედრო მოსამსახურე დაკარგა. ყველაზე დიდი მსხვერპლი საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა 2010 წლის 30 სექტემბერში განიცადა. ნალმზე აფეთქების შედეგად, ჰელმანდის პროვინციაში ერთდროულად 4 ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

ავღანეთში ქართველი სამხედროების დაღუპვის გამო მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს პრეზიდენტი.

— შემძრა ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში „შირგაზას“ ბაზაზე მომხდარმა თავდასხმამ. ჩვენი გმირი ბიჭების დაღუპვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა ჩემთვის ძალიან მძიმეა და მჯერა, რომ მათი თავგანწირვა უკვალოდ არ ჩაივლის. მათ საქართველოს და ჩვენი შეიარაღების მომავალს შეწირეს თავი.

ქედს ვიხრი ჩვენი დაღუპული ჯარისკაცების სსოვის წინაშე და გულწრფელად ვიზიარებ მათი გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილს. ვამაყობ, რომ

ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს ასეთი თავდადებული ვაჟკაცები ჰყავს. ამ ბიჭების სახელები სამუდამოდ დვარდება ჩვენი ისტორიის ფურცლებზე, როგორც ქვეყნის ერთიანობისა და თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირები.

ღმრთა მწუხარებას გამოვხატავ და ვუსამძიმრებ მათ ოჯახებს, თანამებრძოლებსა და მთელ საქართველს. მინდა, დაგარწმუნოთ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მათ სსოვნას სათანადოდ მივაგოთ პატივი, — ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში, რომელიც მიხეილ სააკაშვილის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა.

თამთა ძარჩავა

სახალხო მოძრაობა

სამართალი უნდა აღდგას — რაუში უნდა გასამართლდეს!

2013 წლის 19 მაისს, 14 საათზე, ქ. თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდება სახალხო მოძრაობის „სამართალი უნდა აღდგას“ ყრილობა, რომლის ჩატარების ორგანიზატორია არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტიპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“. ყრილობაში მონაწილეობას მიიღებენ სააკაშვილის რეჟიმის მიერ რეპრესირებული და დაზარალებული მოქალაქეები საქართველოს ყველა რეგიონიდან, მონვეული სტუმრები, საერთაშორისო ორგანიზაციები, დიპლომატიური წრეები, ქართული და უცხოური მასმედია.

2012 წლის 1 ოქტომბერს ქართველი ხალხის მიერ გაკეთებული არჩევანი რომ არ გაუფასურდეს, აუცილებელია ქვეყანაში სამართლიანობის რეალური აღდგენა და სააკაშვილის რეჟიმის პოლიტიკური გასამართლება. უნდა გასამართლდეს პოლიტიკური ტერორის პრაქტიკა, რომელსაც ვფუძნებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე ავტორიტარული რეჟიმი. საზოგადოებამ უნდა დაინახოს, რომ მის ძალისხმევას ფუჭად არ ჩაუვლია.



დასავლეთის გარკვეული წრეების მიერ საქართველოს მთავრობისთვის თავსომხვეული ე.წ. კოპაბიტაციის რეჟიმი მზარდ უკმაყოფილებას და ნიჰილიზმს იწვევს საზოგადოებაში, აღვივებს ანტიდასავლურ განწყობებს. ზემონსენებული წრეები დასავლეთიდან წლებს განმავლობაში „ავერ“ ამჩნევდნენ სააკაშვილის მმართველობის ავტორიტარულ ხასიათს და მას დემოკრატიის შუქურად მიიჩნევდნენ. ქართული საზოგადოების ვერდიქტი ერთმნიშვნელოვანია — სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმთან კოპაბიტაცია დაუშვებელია!

სახალხო მოძრაობის ყრილობა მიიღებს მიმართვას საქართველოს პარლამენტისადმი სპეციალური საპარლამენტო კომისიის შექმნის მოთხოვნით. საპარლამენტო კომისიის მოუშობის შედეგი უნდა გახდეს სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის პოლიტიკური შეფასება. ყრილობაზე შეიქმნება საზოგადოებრივი კომისია, რომელიც მოიძიებს ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდის პოლიტიკური ტერორის კონკრეტულ ფაქტებს და წარმოადგენს კომპეტენტურ რეკომენდაციებს.

წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე დაიწყო სახელმწიფო სამოქმედო პროგრამის შემუშავება. პროგრამის მთავარი მიზანი უნდა გახდეს რეპრესირებულთა და დაზარალებულთა სამართლებრივი, პოლიტიკური, ქონებრივი, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია.

ყრილობაზე ვინცე ვყვალს, ვინც თავს მიიჩნევს სააკაშვილის რეჟიმის მიერ დაზარალებულად. ერთად დავინვოთ სამართლიანი საზოგადოებისათვის ბრძოლა!

სამართალი ჩვენი ძალაა!

ინფორმაცია

ახალი ინიციატივა მიღრობის გზაზე მხანაგობისა და მოვლა-პატრონობის

სასტუმრო „რედისონში“ გზების ხარისხის ზრდასთან დაკავშირებით კონფერენცია გაიმართა. როგორც „ინფორმაციისა და ტექნოლოგიების განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან აცხადებს, კონფერენცია სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით გაიმართა. მასზე გზების მშენებლობისა და მოვლა-პატრონობის ახალი, ინოვაციური მიდგომები განიხილეს. კონფერენციის მსოფლიო ბანკის დირექტორი სამსრუთო კავკასიის ქვეყნებში შერონ ქერალი და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანიას დაესწრნენ.

კონფერენციაზე გზების მშენებლობისა და მოვლა-პატრონობის ერთ კონტრაქტში გაერთიანების პერსპექტივა განიხილეს, რაც სამომავლოდ კონტრაქტორის პასუხისმგებლობის ზრდას და შესრულებული სამუშაოს ხარისხის ამაღლებას უზრუნველყოფს.

გამომდინარე იქიდან, რომ ამდენ ხანს მსოფლიო გზის მშენებლობაზე იყო აქცენტი გაკეთებული, სოლო მისი ხარისხი სწორად უკლებელყოფილი იყო, აღნიშნული მიდგომა შესაძლებელი გახდის, გაიზარდოს გზების ხარისხი.

სახარკები ქართულ სკოლებში უკანასკნელ ინსპექტორებს

საზრუნველყოფის ელჩი კანონმდებლებს სთხოვს იმუშაონ კანონბრუნებზე, რომელიც სკოლებში სხვა უცხო ენებთან ერთად ერთზე მეტი ენის, ანუ ფრანგულის სწავლებას გულისხმობს.

— შევედრაზე ერთ-ერთი ჩემი მესიჯი იყო, რომ საქართველოში ფრანგული ენის მიმართ გაიზარდოს ინტერესი და საგანმანათლებლო საქმიანობა ამ კუთხით უფრო გაძლიერდეს, — განაცხადა ურუნალისტებთან საუბარში საფრანგეთის ელჩმა რენო სალენსმა. მისივე თქმით, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრებთან შეხვედრაზე ასევე შეეხებინათ საკითხებს, როგორიცაა თავდაცვა, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები.

ინტერპრესი

ფინანსები

წერტილოვანი ფრაზები

● დიდი ეშმაკი ხუანი ხელისუფლება გვყავს აი. ესენი საერთაშორისო საზოგადოებას, ამერიკას, ევროპას ეკვეყლებიან და მკვლელებთან კოპაბიტაციონზე, ხალხის ხელით უნდათ სამართლის აღსრულება. არიქა, საყვედური არ მიიღოთ ბუკიკიოებისგან.

● ეს ინციდენტი პირველ ოქტომბრამდე რომ მომხდარიყო — მამუკას, მანჩოს და ბუქას ოქროვანის ტყეში „გასეირნება“ არ აცდებოდათ. იმიტომ არიან გაცოფებულები, ვერ დასაჯეს „დებოშორები“ სათანადოდ, ვერ გაშალეს ფრთები ბოლომდე...

● აი სულ არ მინტერესებს ვინ დაინვო ჩხუბი, მთავარია შედეგი გვაქვს უზარმაზარადი (ძიძიგურის სმაილი).

● სალომე გოგიაშვილი: აი, რა განსხვავებაა „ნაციონალ“ კურდღელ მამაკაცებსა და ძველ ბიჭ-2013-ს შორის. ხუმრობა იქით და ნამდვილად არასასიამოვნოა, როდესაც ზოგადად ადამიანები ჩხუბობენ, მაგრამ ამდენ ზიზლსა და უსამართლობას რომ დათესს, შედეგს ასეთს და უარესს მიიღებ... საქართველოს მინისტრებიც ჰყოლია, მერიც, მაგრამ ხალხი ქუჩაში ფურთხებით და დედის გინებით არ დასდევდა. მარტო თქვენ ბრალია, რაც გჭირთ!! და ისე კაფედაა გაყვანა, რტყმევა, პატრულის უსამართლო მოქცევა, ეს ყველაფერი თქვენი დამკვიდრებულია. ამდენი გამწარებული ადამიანი მე მგონი, საქართველოს ისტორიას არ ახსოვს!! კიდევ გიკვირთ. კეთილი რჩევა, ბინაზე ჯობია სოლომე აწი შეკრება. თუ დაგინტერესებთ, კურიერის ნომერსაც მოგანვადით სახლში მოტანის სერვისით, მეტი უსაფრთხოებისთვის. საჭმელსაც შეირგებთ და მოტყინებთაც ასცდებით!

● ამ ფარესიშვილმა ისეთი იმიჯი გაი-

ჩალიჩა რომ, პასპორტში საჯდომის ბიომეტრიკა სურათი უნდა ჩაუკრან „...“

● მიშა ქართველი და ვანო მერაბიშვილის მწვავე დებატები მომასმენინა და მერე მამკლარა)))))

● ვანოს „კუდის“ გადაღებული ჩანაწერები განადგურდება!! ვანოს „კუდები“ ისე კვლავ რჩებიან შსს-ში და უნდა მოვიშოროთ.

● მიმიფურთხებია ორპარტიული კოპაბიტაციისათვის. უნაკლო ქართველ ბიჭებს, ქართულ გენოფონდს საფლავებში აწვენენ... გადასაშენებელია ესენიც და ამათი კოპაბიტაციაც.

● საქართველოში ჯერ კიდევ არამსოლოდ ვფენთ ჭურჭიან საცვლებს, არამედ აბლოდისმენტებსაც ველოდებით... საქმე არც 19 აპრილამდე არ უნდა მისულიყო, და არ იქნებოდა 17 მაისისაკენ მავანთა სწრაფვა და ლტოლვა... და რას ვაკეთებთ ჩვენ??? ბუსუსიანსა და უბუსუსოს შორის ვაკეთებთ არჩევანს... იხარე, ერო... .

● ელვებიტი საზოგადოება 17 მაისს მართავს აქციას სახელწოდებით „გაზაფხულის 17 გაეფევა“.

● აღარ უნდა მორჩეს ჩვენი საჯიშე ბიჭების მამლუქებად გაგზავნა? ვის ომში იბრძვიან და რატომ. იმიტომ, რომ აშშ-ს თავის გაგუნის გაძლიერება სურს? ადგეს და თავისი ეს საჯიშე ამოწვევით. უნდა დადგეს ეს საჯიშე რეფერენდუმზე და შეწყდეს ნატოს მისიებში ქართველი ბიჭების გაგზავნა. ასეთი არც ნატო გვარგებს და არც კატო. სანამ ამ ნატოში შეგვიშვებენ, მთელი ქართული გენოფონდი თუ განვდა-მერე ვის რა ჯანდაბად უნდა ამათი ნატო, აღშფოთება და შემფოთება?

ამოკრიბა ბიბა ბაბარიჩიძე



ქართული მიწების თითქმის შემუშნეველი, მაგრამ გრანდიოზული მნიშვნელობის პრობლემა შთამომავლობამ მიძიმედ რომ არ ინგნოს, საჭიროა მევენახეობის მოდერნიზაცია. მეტსაც ვიტყვი და თავად განსაჯეთ: ნებისმიერ ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე სახნავი მიწები დიასაც უნდა მცირდებოდეს ერის გამრავლების კვალობაზე და არა პირიქით. მაგრამ ინტენსიფიკაციის თვალსაჩინო ძვრები იძლევა ამ უკუპროპორციული დამოკიდებულების დაძლევის საშუალებას, რაც წითელ ზო-



რბტომ მიემართავ სწორედ ინტელიგენციას, ამას მეტსწველი ქვემოთ თავად მისგან. ამიტომ ახლა პირდაპირ სათქმელზე გადავალ.

მოგახსენებთ, რომ ვარ მრავალი გამოგონების ავტორი. მევენახეობაში დანერგილი ინოვაციებისთვის მ-ჯერ დამაჯილდოვეს ოქროს მედლითა და უმაღლესი საავტორო გასამჯელობით. პირველი 20 000 მანეთი 1986 წელს გადავიცხე ჩერნობილის დახმარების ფონდში. ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული მაქვს მონოგრაფიები „მევენახეობა ახლებურად“.

ამჟამად თქვენს ყურადღებას ვამახვილებ ვენახების მალაქ-დაბალი ფორმირებით გაშენებაზე, რომელიც ვაზის სამშობლოში – საქართველოში შეიქმნა, მაგრამ არაფერი არ გაუკეთებია საიმისოდ, რომ საფუძველი ჩაყროდა მევენახეობის განვითარებას ევოქის შესატყვისი მიმართულებით. ისტორიას ჩაბარებოდა ფართორიგანი ვენახები, ვინორიგანი ვენახებში კი – შუა საუკუნეობრივი დონის ზურგის აპარატი ვაზის შენამვლა და ვენახების ცვენით ხვნა. არაფერი გაკეთებულა იმისათვის, რომ საქართველოს ბეჯითი მევენახე-მეზღვრეები XXI საუკუნეს შეხვედროდნენ არა მარტო ვენახების დამუშავების ახალი თაობის მეთოდებითა და მაღალკონკურენტუნარიანი ტრაქტორებით, არამედ შორს გამიზნული ეროვნული და სახელმწიფო ინტერესებით.

უფრო მეტი დამაჯერებლობა და ფაქტობრივი არგუმენტები რომ შევმატო ნათქვამს, დავაკონკრეტებ: მიწის გონივრული გამოყენება საშვილი შვილი საქმეა მთელ მსოფლიოში, მითუმეტეს მცირემიწიან საქართველოში, სადაც 1 სულ მოსახლეზე 0.14 ჰა სახნავი მიწა მოდის, და ეს მწირი ფართიც ყოველწლიურად მცირდება. სახელმწიფო მნიშვნელობის აკვარგინი მიმართულებები კი უნდა გადაწყდეს სოფლის მეურნეობის მალაქ დონეზე განვითარებით,

ღია წერტილი ინტელიგენციას

საქართველოს რესპუბლიკა
№ 277, კმრპ. 11 მარტისა, 2001 წელი

ჩვენი გზათმთავრებით

გვინდა პრობლემებზე იცოდეს

ჩვენი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ინტელიგენციის განვითარების შეზღუდვა. ამ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ინტელიგენციის განვითარების პროგრამა. ამ პროგრამის ფარგლებში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ინტელიგენციის განვითარების პროგრამა. ამ პროგრამის ფარგლებში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ინტელიგენციის განვითარების პროგრამა.

- 1. მთავრობის განკარგულებაში აღებული სახელმწიფო მიწების განვითარების პროგრამის განხორციელების მიზნით.
- 2. სახელმწიფო მიწების განვითარების პროგრამის განხორციელების მიზნით.
- 3. სახელმწიფო მიწების განვითარების პროგრამის განხორციელების მიზნით.
- 4. სახელმწიფო მიწების განვითარების პროგრამის განხორციელების მიზნით.
- 5. სახელმწიფო მიწების განვითარების პროგრამის განხორციელების მიზნით.
- 6. სახელმწიფო მიწების განვითარების პროგრამის განხორციელების მიზნით.
- 7. სახელმწიფო მიწების განვითარების პროგრამის განხორციელების მიზნით.
- 8. სახელმწიფო მიწების განვითარების პროგრამის განხორციელების მიზნით.
- 9. სახელმწიფო მიწების განვითარების პროგრამის განხორციელების მიზნით.
- 10. სახელმწიფო მიწების განვითარების პროგრამის განხორციელების მიზნით.

რომლის მაგისტრალური გზა ინტენსიფიკაციაა, რათა მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებისთვის ახალი ფართობების ათვისება არ მოხდეს ერთი სავარგულის სხვა სავარგულის ჩანაცვლებითა და ტრანსფორმაციით.

ლად უნდა გასდევდეს მცირემიწიან საქართველოს. სწორედ ფართორიგანი ვენახების სახეობით, მევენახეობის მოდერნიზაციისთვის 1988 წელს გამოვიგონე მეთოდები (ერთი განაცხადი №4662860 ჩამოთვალეს ორ გამოგონებად), ვენახების გაშენება მალაქ – დაბალი ფორმირებით (სურათი 1), იმ მიზნით, რომ ტრაქტორმა შედარებით დაბალ რიგს გადააბიჯოს, ერთი გავლით ორი რიგი დაამუშაოს, 50%-ით შემცირდეს მექანიზაციის ხარჯები (საავტორო № 1664182);

ამასთან, ორი მაღალი და ორი დაბალი რიგით (სურათი 2) ტრაქტორმა ორ დაბალ რიგს გადააბიჯოს და ერთი გავლით სამი რიგი დაამუშაოს, უფრო მეტად შემცირდეს მექანიზაციის ხარჯები (საავტორო №1664183); რომელიც ბევრად სჯობს, მევენახეობის განვითარებულ ქვეყნებში დანერგილ ერთი და იმავე სიმაღლის რიგებზე ტრაქტორის ზევიდან გადაბიჯებას (სურათი 3). ჯერ ერთი, იმისათვის, რომ შეიქმნას უკეთესი პარაცია და მეორე, შედარებით დაბალი და მოქნილი ტრაქტორით მოხდეს რიგების პარალელური კომპლექსური დამუშავება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გამოგონებები დიდი ეროვნული და ეკონომიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, საჩუქრად გადაეცემა საქართველოს (პატენტები №245; №246), იმ მიზნით, რომ ვაზის სამშობლო – საქართველო ყოფილიყო ამ ინოვაციების პატენტმფლობელი. ღრმად პატივცემული ინტელიგენციის წარმომადგენლებო, იმასთან დაკავშირებით, რომ მევენახეობის ს.კ. ინსტიტუტისთვის რთული აღმოჩნდა ტრადიციული კონსერვატიზმის დაძლევა, უმორჩილესად

გთხოვთ, თანდართული მეცნიერების შეფასებების, წერილის პათოსის, სოციალური, ეკონომიკური, ეროვნული და პოლიტიკური ასპექტებით გამოხატულ თქვენი აზრი. მოდიოთ, ვიყოთ სამართლიანი და ობიექტურნი და ვთქვათ: მევენახეობის ს.კ. ინსტიტუტის უმირველესი მოვალეობა იყო თუ არა ის, რომ მეცნიერების მალაქ დონე-



ზე განვითარებულიყო საქართველოში მევენახეობა? უნდა ვაღიაროთ ჩვენი დროებითი ჩამორჩენა? თუ შევეგუოთ რეგრესს?

კონკრეტულად: ოდესღაც ჩამორჩენილ მევენახეობის ქვეყნებში თუ უნდა მუშაობდეს ახალი თაობის ტექნიკა (სურათი 3), ვაზის სამშობლოში – საქართველოში, სადაც ჩვენს სულწინათ წინაპრებს 500-ზე მეტი ჯიში აქვთ გამოყვანილი და მევენახეობა ქართველი კაცის ღირსების ნიშანს წარმოადგენს, უნდა ვინაობთ ჩვენს მწიფე პარატივს? ვინაობთ ჩვენს მწიფე პარატივს? ვინაობთ ჩვენს მწიფე პარატივს? ვინაობთ ჩვენს მწიფე პარატივს? ვინაობთ ჩვენს მწიფე პარატივს?

რამდამციხობან: ბატონმა თამაზმა გვითხრა, ამჟამად ინტელიგენციას იმადღა მიემართავ, რომ პრეზიდენტის წინაშე ამ საკითხის მრავალჯერ დაყენების მიუხედავად, არამცთუ რაიმე გაკეთდა, არამედ პასუხის ღირსადაც არავის ჩაგუთვლივარო. იმედი, წერილის ადრესატები საქმიანი წინადადებებით გამოეხმაურებიან ჩვენს პუბლიკაციას.

ტუტზე დახარჯული ათობით მილიონი თანხა საკმარისი არ უნდა ყოფილიყო ისეთი მეთოდის შექმნისთვის (მეთოდს ვინ ჩივის, ნახევარი საუკუნეა, საქართველოში მევენახეობის შიფრით № 06.01.08 არ დაცულა სადოქტორო დისერტაცია(1)), რომ მევენახეები დარწმუნებულიყვნენ სიახლის სიმართლეში, დახარჯული დროის, შრომის და თანხის საგრძობლად შემცირებაში, ყურძნის უხვი მოსავლის მიღებაში და, ყველაზე მთავარი, მიწის რესურსების მაღალეფექტურ გამოყენებაში, მევენახე-მეზღვრეების გონი გაბედულად მიმართულიყო არა დრომოკმულ და დახარჯულ, არამედ ვენახების ახლებურად გაშენების მეთოდებისკენ, რადგან ამქვეყნად ყველაფერი იცვლება. ამავდროულად სახელმწიფო ქვეყნული მესაძირკველად ახალი თაობის მაღალკონკურენტუნარიანი სატრაქტორო ქარხნის აშენებას.

ამჟამად სახელმწიფოსა და მოსახლეობის ინტერესებზე ამართლებს განვითარებულ ქვეყნებში დამკვიდრებულ აქსიომას. სახელმწიფოები წარმატებულად ვითარდებიან მხოლოდ მაშინ, როცა მოსახლეობის პირადი ინტერესები ემთხვევა სახელმწიფო ინტერესებს. ჭეშმარიტებას თუ დიდი ილიას ოქროს ბეჭედსაც დავასვამთ, რომელსაც აწერია: „ღმერთი გვისჩინა, თუ შვილი მაინც გზად და ხიდად გაგვიდებოდა“, დავასკვნით: საქართველოს აყვავების ერთადერთი გზა ინტენსიფიკაციაა! მიუხედავად იმისა, ერთი დამაინის გონების ნაყოფი იგი თუ ინსტიტუტის მეცნიერებათა ერთობლივი გამოცდილების შედეგი.

პატივისცემით,
თამაზ ძვლივიძე,
საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი
გელ: 599 10 43 18


ალიან-ჩალიანი

ბოტანიკურ ბალს პრობაციონერები უპლიან

პრობაციონის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, თბილისის ბოტანიკურ ბაღში დასუფთავების აქცია გაიმართა. როგორც „ინტერპრესის“ სასაჯელალსრულები, პრობაციონისა და იურიდიული დახმარების სამინისტროდან აცნობეს, ბოტანიკურ ბაღის დასუფთავების აქციაში მონაწილეობა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომამისჯილმა 13-მა პირმა და ორმა განზიდებულმა მიიღო. აქციის მონაწილეებმა ბოტანიკური ბაღის საფენავლო ბილიკები ჩამოშლილი მიწისგან განმინდეს და ტერიტორია გამაზარი ტოტებისგან გაასუფთავეს. მსჯავრდებულები სათანადო სამუშაო იარაღით პრობაციონის ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყო.

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის აღსრულების პროცესს სასაჯელალსრულების, პრობაციონისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის პირველი მოადგილე გიგა გიორგაძე და ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო ასოციაციის რეგიონული პროგრამების დირექტორი ბარბარა ტიფანი დაესწრნენ.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, ზემოაღნიშნული ტიპის აქციები ხელს უწყობს პრობაციონის ეროვნული სააგენტოს უმნიშვნელოვანესი მიზნის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტურ წარმართვას.



ებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, ვიდრე ბიზნესი-სა და ტელეკომპანიის წარმომადგენლის დეტექტიური ისტორია. ეს გაგრძელებაა ოთარ ჩხეიძის სამწერლო მოღვაწეობის – შეუპოვარი სამართლის თქმის...

მე მინდოდა, რომ ქ-ნი მზია პატარკაცი შვილისათვის (რომლის ჭკვიანი და საქმიანი თვისებები განათლების კომიტეტში თანამშრომლობიდან ვიცი) ღია წერილით მიმემართა, რათა უფრო სწრაფად, ღირსეულად, ისე როგორც ორივე მხარეს „იმედის“ და „იბერიის“ მფლობელებს შეჰფეროთ, ისე გადაწყვეტენ ტელეკომპანიებთან დაკავშირებულ ლიცენზიის პრობლემებს, მაგრამ ვერ შევძელი, ვერ შევძელი, რომ წიგნს არ შევხებოდი და ჩემი აზრი მოკლედ არ გამომეთქვა... ერთს ვისურვებდი – უახლოეს დროში სტუმრად მენახა პატარკაცი შვილების ოჯახი ტელეკომპანია „იბერიის“ ოფისში, ჩუბინი შვილის 41-ში (სადაც „იმედის“ დარბევამდე 3 წლით ადრე მოხდა დარბევა).

სამშაბათობით ოფისის დარბაზში საოცარი საღამოები იმართება, ყურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციის ხელმძღვანელის როსტომ ჩხეიძის თაოსნობით. საღამოებზე, რომელიც ხშირად სასიამოვნო მუსიკის ჰანგების თანხლებით მიმდინარეობს, საუბრები ლიტერატურაზე, პოეზიაზე და ა.შ. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს დღეს პოლიტიკის გარე-



ზაზა ოქუაშვილი – „იბერია ჯგუფის“ დამფუძნებელი.

ტიკური გაუნათლებლობის გამო შეუფერებელ პოლიტიკოსებს, ავანტიურისტებს და კარიერისტებს ავირჩევთ ხელისუფლებაში. ვინც მაღალ იდეალებს ამოფარებული თავის გამორჩენას ელის. გთხოვ, მკითხველო, კიდევ ერთხელ წაიკითხე ეპიგრაფი, რადგან როსტომ ჩხეიძის წიგნის გაგრძელების გმირებად არ წარმოვჩნდეთ. ვიფიქროთ, ხელისუფლებისთვის მებრძოლი ადამიანი რას გვპირდება, ვინ გვპირდება და რა გზით აპირებს დანაპირების აღსრულებას – ამაზეც. ტყუილს – ტყუილი, ბოროტებას – ბოროტება, სისხლს – სისხლი მოაქვს. ცუდი საშუალებით

პაატა ჩიქოვანი

სამართლიანობის აღსადგენად

„ვინც თავისუფლებაში ეძებს სხვა რამეს და არა თვითონ მას, იგი მონობისათვისაა შექმნილი“.

ალექსანდრე ტოკშვილი

თბილისში, საბურთალოზე მოგუყვები დიდი მწერლის (ახლანდელი გავიგე რომ ბაგრატიონების სისხლიც ჰქონია) ოთარ ჩხეიძის ქუჩას, ხელში მისი შვილის როსტომ ჩხეიძის წიგნი მიჭირავს – „ორშაბათი შაბათია“ და მე გობართან მიმაქვს. ამ დროს ჩემს სულიერ მდგომარეობას აღწვთობს მისი არაქვეყნა. რატომ? ამ წიგნში აღწერილი 2004 წლის 19 თებერვალს დატრიალებული დანაშაულის შესახებ. წაიკითხეთ, თქვენც აღწვთდებით. წიგნი თითქმის დეტექტიური ჟანრის ნაწარმოებია, თუმცა სიუჟეტი დეტექტივის გადმოცემის შემდეგაც გაგრძელდა და დღესდღეისობით აპოგეას მიაღწია. აპოგეას იმით, რომ დარბეული ტელეკომპანია „იბერიის“ ლიცენზია პატარკაცი შვილების ოჯახშია – 2007 წ. ასევე დარბეული ტელეკომპანია „იმედის“ დარბეუბასთან ერთად 2012 წ. „იბერიის“ ლიცენზიაც გადასცეს?!

რასაკვირველია, „იმედის“ მფლობელთათვის ეს სრულიად გაუგებარი მოულოდნელობა იყო. ეჭვიც არ მეპარება, რომ ძვირფასი ქალბატონები მზია და ინგა ამ გაუგებრობას სასწრაფოდ გამოასწორებენ. ვაი, ვაი, რომ ეს ყველაფერი ჩვენი ცხოვრების რეალობაა. ამ სტატიის სათაურიც ბატონ როსტომის წიგნიდან ამოვკრიფე.

ტელეკომპანია „იბერიის“ ხურავდნენ, რომ კომპანია „ომეგა“ ჩაეგდოთ ხელში, თუ კომპანიას აკოტრებდნენ, რომ „იბერია“ დაეხურათ? რომელს? რომლისთვის? თუ ორივესთვის? „ომეგაც“ და „იბერიაც“?! აი, კითხვა, რომელიც მრავალწლიანი თავისუფლებისათვის მებრძოლ საქართველოში, 21-ე საუკუნის დამდეგს გაუჩნდა საზოგადოებას. 2004 წელია, 19 თებერვალი, რა ხდება? ფიქრობს ყველა, უმეტესობა თავისთვის, ჩუმად. ჩუმად იმიტომ, იქნებ ახალ ხელისუფლებას რამე გამოვცინცლოო. საზოგადოების მცირე ნაწილი სამართლისთვის ბრძოლაში გამონრთობილი – აღწვთებდას პრაქტიკული ქმედებითაც გამოხატავდა: მიტინგებითა და მასმედის საშუალებებით. მათი უმრავლესობა უსამართლობით, უმუშევრობით, უშუქობით და სხვა უ... მიესალმა „ვარდების რევოლუციით“ მოსულ ახალ ხელისუფლებას; იმედით, ოცნებით... ისინი ხომ ყოველთვის იბრძოდნენ თავისუფალი ქვეყნისთვის, სადაც ყველაზე დიდი ღირებულება თავისუფალი ადამიანი იქნებოდა. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ჩუმად ქირქილებდნენ შურით და ბოლმით აღვსილნი, მათ უხაროდათ ზაზა ოქუაშვილის მოსალოდნელი „ჩაძირვა“. მერე რა, რომ 4000 ადამიანი უმუშევარი დარჩა? ერთ რამეს ვერ ხვდებოდნენ, მათი დროც მოვიდოდა...

ამ დღეებში რამდენიმე წერილი დაინერა გაზეთებში ამ საკითხის შესახებ, ფილმიც გავიდა მე-9 არხზე, ინტერნეტშიც დაიდო და თითქოს ყველამ ყველაფერი იცის, არა, ბატონებო, არა!.. წიგნი, „ორშაბათი შაბათია“ უფრო ღრმა ანალიზია საზოგადო-

ტელეკომპანია „იბერია“ კანონიერ მფლობელს უნდა დაუბრუნდეს

შე (ვასწრებ ბ-ნ როსტომს და ბ-ნ ზაზას, არ მინყენენ) გეპატიუებით ჩუბინი შვილის 41-ში ასეთ სულიერ საღამოებზე...

მას შემდეგ, რაც ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელთ ჩემი მოკრძალებული აზრი და სურვილი მოვახსენე, ისევ წიგნს დავუბრუნდები.

რასაკვირველია ავტორმა, ბატონმა როსტომმა, უკეთ იცის, რა უნდა დაარქვას თავისი შემოქმედების ნაყოფს: მე ამ წიგნზე საზოგადოებას მეორე სათაურსაც შევთავაზებდი: იულიუს ფუჩიკის „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“-ის ჩემეულ ინტერპრეტაციას. „საქართველოს მოქალაქეებო, იყავით ფხიზლად!“... რამდენჯერ შეიძლება ამომრჩეველი მოტყუდდეს, ან მოიტყუოს თავი (ესეც გვახსიათებს, ქვეყნარე გრძნობების გამო). პასუხი ერთი მაქვს – იმდენჯერ, რამდენჯერაც ჩვენი სამოქალაქო პოლი-

სიკეთეს ვერ მიაღწევ, ეს აქსიომაა.

უახლესი ისტორიიდან „იბერიის“ დარბევის ორგანიზატორის ირაკლი ოქრუაშვილის ბიოგრაფიიდან ერთ ეპიზოდს გაგახსენებთ, 2000წ. ახალგაზრდა იუსტიციის მინისტრის მოადგილის – ირაკლი ოქრუაშვილისა და ასაკოვანი მილიციელის, ხაზს ვუსვამ, ასაკოვანი – კონფლიქტი...

ბრძენი ხალხიც გამოგვერევა საბედნიეროდ და მათ ანდაზებს მოგახსენებთ. „...კოჭებში ეტყობაო...“ „...ჭილოვში იცნობაო“ და ა.შ. მაშინ ერთმა მეგობარმა ბრძანა: რა ამბიციურია, ამას რომ ხელისუფლება ჩაუვარდეს ხელშიო... ჩაუვარდა და... (თუ ჩავუგდეთ?)

ზაზა ოქუაშვილის ოფლითა და გარჯით შექმნილი დიდი ბიზნესი – არა ბანკებიდან ხალხის ფულის მიტაცებით, არა კორუფციით, არამედ უცხოელ პარტნიორებთან ერთად წესიერი გზით შექმნილი, უიშვიათესი გამოწვანისა საქართველოში. ტელევიზია და რედაქცია ხომ სულიერებისთვის იყო განსაზღვრული. იმ სულიერებისთვის, რასაც ასე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სხვები.

წაიკითხეთ ეს წიგნი ბატონებო, წიგნში უფრო ნახავთ და დეტალურად დაინახავთ, სინამდვილეში რა არის სიტყვის თავისუფლება და რა კიდევ – თავისუფალი ბიზნესი.

მაგრამ მარტო დანახვა არა კმარა, ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება უნდა მოიწვოს ისე, რომ ყველაფერი ბუნებრივი გზით მიმდინარეობდეს და ვითარდებოდეს და აღარც თავისუფალ სიტყვასა და თავისუფალ ბიზნესს ექმნებოდეს დაბრკოლება.



კანონიერ მფლობელს ძალბატონ ინა გუდავაქის „იმედს“ უბრუნებს წლების მანძილზე ცრუმფლობელი ბიორბი არვიალი.

რატომ ჩაითვალა სეპარატისტული რეგიონის ქუჩაზე მოსაყვანად და მის შემოსაერთებლად ნა-მონყებელი სამხედრო ოპერაცია საერთაშორისო ნორმების დარღვევად? იმიტომ, რომ იქ იდგა, ჯერ კიდევ შევარდნაძის თანხმობით, საერთაშორისო მანდატით აღჭურვილი, „სამშვიდობო-ელი“ რუსეთის სამხედრო ნაწილი. საქართველოს პრეზიდენტს, „საერთაშორისო სისხლის სამართლის და ადამიანის უფლებების დაცვის განხრით რამდენიმე სასწავლებელდამთავრებულ იურისტს“ (ასე წარმოგვიდგინა მან თავი „პოზიციაში“), უნდა სცოდნოდეს ელემენტარული რამ – მიუხედავად ჩვენი კანონიერი უფლებებისა ცხინვალის რეგიონზე, რუსი სამშვიდობოების სტატუსის გაუქმებად იქ ტანჯებით და არტილერიით შეჭრა, მაინც შეფასდებოდა საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევად, რუსეთს კი იურიდიულად გაუხსნიდა ხელფესს საქართველოში შემოსაჭრელად. მართალია, ტალიანის ფაქტების დამდგენმა კომისიამ გადაჭრით ვერ დაადასტურა რუს სამშვიდობოებზე ჩვენი თვინის დასახის ფაქტი (ცხინვალზე იერიშის დროს ორი რუსი სამშვიდობო დაიღუპა), მაგრამ რუსეთმა შესანიშნავად გამოიყენა მიცემული შანსი და ამ სამშვიდობოების, აგრეთვე, „პასპორტებით გა-რუსებული“, რუსეთის მოქალაქეებად ცნობილი ოსი მოსახლეობის დაცვის მო-მიზნებით (და სააკაშვილის უზრდელი ენის გამოც!) საბაგალითოდ დატ-ვსაჯა, ამის უფლებას მას საერთაშორისო მანდატი აძლევდა. იმიტომ იყო, რომ რუსეთი მხოლოდ ზღვარ-გადასულ, გადაჭარბებულ ქმედებებში დაადანაშაულებს, როცა, ლა-მის, თბილისამდე მოვიდა რუსის ჯარი, და არა – საქართველოს საზღვრის დარღვევაში. სეპარატი-სტული რეგიონების (საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის) ოკუ-პაციის და იქ სამხედრო ბაზების გამაღებული მშენებლობის გამო საერთაშორისო თანამეგობრობას, ფაქტობრივად, ხმაც არ ამოუღია, რუსეთისთვის რაიმე სანქციის და-წესება აზრადაც არ მოსვლიდა არა-ვის, ჩვენი „სტრატეგიული პარტნი-ორის“ ჩათვლით!

პირველი ნაწილი, სამხედრო ოპერაცია სეპარატისტულ რეგიონში, უდავოდ, ჩვენ, საქართველოს მხარეში წამოვიწყეთ, ამას თავად მოავარსადლის, პრეზიდენტ სააკაშვილის იმდროინდელი ტელეგამოსვლები ადასტურებს, როდესაც იგი ცხინვალის რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის დამყარებაზე ლაპარაკობდა. მეორე, მთავარი ნაწილი, ანუ რუსეთ-საქართველოს ომი, ასევე უდავოდ, რუსეთმა წამოიწყო. ასე რომ, ორი ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული მოვლენის ერთი სახელწოდება – „აგვისტოს ომი“ ქვეშ გაერთიანება არასწორია და მიუღებელიც, იგი მოვლენების არსში წვდომას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას მხოლოდ უშლის ხელს!

ზოგი, ალბათ, იტყვის, – რა დიდი მნიშვნელობა აქვს რას დაარქმევ, სახელს რა ჭკუა აქვს, ამით რა იცვლებაო. სწორედ ეს რომ იცვლება და, თანაც, არსებითად. თუ ყველა მოვლენას თავთავის სახელი არ დაერქვა, შემდეგ ძალიან ადვილად ხდება ტერმინებით მანიპულირება და მიტყუან-მართლის (ფაქტებთან ერთად) შეგნებულობა თუ უნებელი აღორვევა. ეს აღორვევა სწორედ „ნაცებს“ აძლევს ხელს, როცა ისინი, თავიანთი ჭკუით, რუსეთის „აგვისტოს“ გამოსავლენ, ჩამჭრულ კითხვას სვამენ ხოლმე: „ვინ დაიწყო ომი“? და არ აკონკრეტებენ – ცხინვალზე ლამის შეტევა და გულისხმობენ თუ რუსის ჯარის როლის გვირაბში შემოსვლას. ამასთან ერთად, 7 აგვისტოს ლამით წამოწყებული სამხედრო ოპერაციის მართებულობას სააკაშვილი და, ცხადია, „ნაცებიც“ დღეს უკვე სხვაგვარად და ერთობ უსუსურად ხსნიან. თუ დასაწყისში იგი სწორად განიმარტებოდა, როგორც სეპარატისტულ რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენისთვის გადადგმული, საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლით დაშვებული კანონიერი ნაბიჯი (სხვა საქმეა, სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით რამდენად ჭკვიანურად გადადგმული ჩვენს შემთხვევაში!), ამჟამად, უკვე კარგა ხანია, ამ სამხედრო ოპერაციას, ცხინვალის მხრიდან გამომდებელი სროლების და ქართული სოფლების დაბომბვების საპასუხოდ მიღებულ ზომად ასალებენ და ამით მას სულ სხვა, სადამსჯელო(!) ოპერაციის შინაარსს სძენენ! უგუ-ნურობასთან ერთად უსუსური კი იმიტომ არის ეს განმარტება, რომ ხელისუფლების ოფიციალური ცნობებით ჩვენი მხრიდან გახსნილი საპასუხო ცეცხლით ცხინვალის მხარეს თითქმის ყოველ-

თვის უფრო მეტი დაჭრილ-დახოცილი ჰყავდა, ვიდრე – ჩვენ.

თავის მხრივ, სააკაშვილის და „ნაცების“ კრიტიკოსების დიდი ნაწილი აქცენტს(!) აკეთებს არა ამ ვაჟბატონების მიერ ჩადენილ უმთავრეს და-ნაშაულზე, არამედ – შეცდომებზე, მართალია, აშკარა დანაშაულის ნიშნების შემცველ შეცდომებზე, მაგრამ ისეთებზე, რომლებიც გამოიძვებასა-ჭიროებენ, და ეს ოპონენტები შესაბამის კითხვებსაც სვამენ: **სააკაშვილი პროვოკაციაზე წამოიგო თუ შეგნებულად შეეცო თავი საფანჯში, თავისი ინიციატივით, თუ სხვისი რჩევით; მართალი ურჩევდნენ მას დასავლეთის მაღალჩინოსნები (კონდოლინა რაისი, სოლანა, ბაროზო, ბრაიზა)-თავი შეეკავებინა ავანტიურისგან და გულადმა „მაღალმა“ აინუნშიც არ ჩააგდო მათი რჩევა (რაც დაუჯერებელია) თუ, პირიქით, ვიღაც-ვიღაცები**

სააკაშვილის ყველაზე მძიმე დანაშაული, როგორც გამოიქცა არ სჭირდება



არწმუნებდნენ, რომ რუსეთი არ ჩაერეოდა ჩვენს შინაურ საქმეებში? შეიძლებაოდა თუ არა ომის თავიდან აცილება? ვინ ხელმძღვანელობდა უშუალოდ სამხედრო ოპერაციებს? რატომ მართავდა ლოჯისტიკის სამსახურს თბილისის მერი? რატომ მოხდა ამერიკელების(!) განვრთნილი ჯარის ასეთი სამარცხვინო ქაოტური უკანდახვევა და იარაღის ორ დღეში დაგრა? ვინ გასცა ბრძანება? რატომ მიატოვეს უმაღლესი რანგის მეთაურებმა (ბევრმა) თავიანთი დანაყოფები და რატომ დატოვეს უმატრონოდ ჯარისკაცები (მოსახლეობასთან ერთად)? რატომ დაჯილდოვდნენ და დაწინაურდნენ ასეთი „გმირი“ მეთაურები და რატომ დაითხოვეს, დაიჭირეს და დახვრიტეს კიდევ ჭეშმარიტად მებრძოლი ჯარისკაცები და მათი მეთაურები შეითხნენ თქვენი რაღებებით (როგორც კი მათ სიმართლე ეტყვის ომზე)? რატომ იყვნენ დაჭრილ-დაღუპული ჯარისკაცები დატოვებულნი ბრძოლის ველზე? რატომ გგვყავდა ამდენი უცნობი დაღუპული 2-დღიან ომში? რატომ წარმოება სამხედრო კავშირები მობილურების(!) მეშვეობით? რატომ ჩაუჭიკარდა მტერს ამდენი საბრძოლო ტექნიკა ხელთ, რატომ არ მოხერხდა მისი წვობიდან გამოყვანა, შეგნებულად ჩაუტოვეს რუსებს თუ უჭკუობით დაკარგეს? რატომ ემსახურებოდნენ და დაატარებდნენ საკუთარი მანქანებით ოკუპანტ გენერლებს ხელისუფლების მაღალჩინოსნები? რატომ გამოცნადდა სამარცხვინო მარცხი რუსეთზე გამარჯვებად და რატომ გაიმართა ტაშ-ფანდური მაშინ, როცა დაღუპული ბიჭები ჯერ მიწასაც არ იყვნენ მიბარებულნი? რატომ არ აგო პასუხი არავინ 100-ზე მეტი სოფლის დაკარგვისა და 25 ათასამდე აგრარილი მოსახლისთვის? და კიდევ ძალიან ბევრი რატომ, რასაც უდავოდ სკრუპულოზური გამოძიება სჭირდება.

უძმიეს ბრალდებას, რასაც თავიდანვე უყენებდნენ სააკაშვილს გამოკვეთილად(!), იყო საკუთარი(!) ოსური მოსახლეობის წინააღმდეგ იარაღის გამოყენება და ცხინვალის დაბომბვა! და ეს უძმიე-ნი ბრალდება არის აბსოლუტურად არასწორი! ყველაზეაირ ცოდვაში შეიძლება დაავდეთ ბრალი „ნაცებს“, მაგრამ ოსი ეროვნების მოსახლეობის წინააღმდეგ იარაღის გამოყენებით მათ კაცობ-

რობის თუ საკუთარი ხალხის წინაშე დანაშაული არ ჩაუდენიათ (ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ცნობისათვის აღვნიშნავ, რომ, მართალია, „ვარდების რევოლუციას“ მეც სხვებიც ალფროთოვანებული შევეგებე 2003-ში, მაგრამ მას შემდეგ, რაც რამდენიმე თვეში, 2004-ის გაზაფხულზე სააკაშვილმა იმ დროისთვის მედიაში და სალომე ზურაბიშვილის დროინდელ საგარეო საქმეთა სამინისტროში დამკვიდრებული ტერმინების – სამაჩაბლოს და შიდა ქართლის ნაცვლად ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ შემოიღო, ჩემთვის ცხადი გახდა მთავარი – თუ რა „ნაციონალიზმი“, ანუ ეროვნული სულის მატარებელი იყო საქართველოს პრეზიდენტი!).

ამ ბრალდებებთან, ვინც ცხინვალზე შეტევის იმ მოტივით თვლის სააკაშვილის დანაშაულად, „როგორ შეიძლებაოდა საკუთარ ხალხზე გალაშქრებაო“ (ნინო ბურჯანაძე), მე ორი შეკითხვა მექნება: საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანი, ეროვნების მიუხედავად, საქართველოს მოქალაქეა და მის საკუთარ მოსახლეობას შეადგენს (მთლად გამართული ტერმინი არაა, მაგრამ ამას შევეშვით). ხვალ რომ საქართველოს საკუთარმა მოსახლეობამ – სომხებმა იარაღით(!) ხელში სამცხე-ჯავახეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადონ და სომხეთთან შეერთება გადამწყვიტონ, მათ წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან იარაღის გამოყენება და უმკაცრესი ზომების გატარება, კაცობრიობის წინააღმდეგ, საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად უნდა შეეფასათ (ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ ეს ვარიანტი – სომხების სამომავლო გეგმები, არ არის მთლად ფანტასტიკის სფეროდან!)? თუკი სომხებმა თავიანთი მიზნების წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენის შიშით გამოწვეული უმოქმედობით, მაშინ ოსების, აფხაზების, სომხების წარმატებების შემხედვარე და ბედოვლათი ქართველების შემყურე ქვემო ქართლის აზერბაიჯანელები ვითომ რატომ იტყვიან უარს დამოუკიდებლობაზე – აზერბაიჯანთან მიერთებაზე? მათ რა, ქართველები და საქართველო უფრო უყვართ, ვიდრე თავიანთი ვიშჯილაგის ხალხი და სახელმწიფო? და ასეთი მოთხოვნის დაცვა ის ხალხს, მხოლოდ იმიტომ, რომ ენ. საკუთარ მოსახლეობად იწოდებიან, თავზე ხელი უნდა გადაუვსვათ და შენი ჭირიმი, შენ გენაცვალე ვეძახოთ?!

და მეორე კითხვა: 1918-20 წლებში, როცა დამოუკიდებელ საქართველოს ოსები აუჯანყდნენ იგივე მოთხოვნებით და უსასტიკესად გაუსწორდნენ ქართული სოფლების მოსახლეობას, მენშევიკური ხელისუფლების მიერ გაცემული საკადრისი სამხედრო პასუხი კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულად უნდა შეფასდეს დღეს?! რა მნიშვნელობა აქვს საკუთარი მოსახლეობის რომელი ეთნიკური ჯგუფი გილავდება და ქართული მიწების მიტაცებას, სხვა სახელმწიფოსთან მიერთებას მოინდინებს, ყველანი, განურჩევლად ეროვნებისა, უმკაცრესად და უსწრაფესად უნდა დაისაჯონ, რადგანაც სისხლით წართმეულს, მოლაპარაკებების მაგიდასთან ბორჯომის და კოკა-კოლას სმით ისტორიულ მეგობრობაზე, გენებავთ, ძმობაზე საუბრებით და სხვადასხვა დაპირებების შეთავაზების სანაცვლოდ უკან არავინ არ აბრუნებს, ეს აქსიომაა! ერთი რუსეთმა დააბრუნა მიტაცებული მიწები და მეორე – ამერიკამ! სულ ამ ჭკუაზე არიან ასე რომ, 2008 წლის 7 აგვისტოს ლამით სააკაშვილმა დაარღვია საერთაშორისო ხელშეკრულება და, საგარეოდ, სამშვიდობოების ხელშეუხებლობაც, მაგრამ ოსი ეროვნების მოსახლეობის წინააღმდეგ დანაშაული არ ჩაუდენია; დანაშაული მაშინ იქნებოდა, მას რომ გენოციდი მოეწყო მათთვის, ამის თაობაზე კი ტალიანის კომისია გარკვევით ამბობს: „ოსი ეროვნების მოსახლეობის მიმართ საქართველოს მხრიდან გენოციდი არ მომხდარა“.

იაკობ ლეჟავა,
18 აპრილი, 2013
(დასასრული იმდება)

ინფორმაცია

აპილის ომის საკითხს 8-ქაშიანი საგამოკითხო ჯგუფი შეისწავლის

სამართლებრივ მთავარი პროკურორის, არჩილ კვიციანიშვილის გადაწყვეტილებით, 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს და მის შემდგომ პერიოდში საგარეოდ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების შესასწავლად 8-კაციანი საგამოკითხო ჯგუფი შეიქმნა.

როგორც მთავარი პროკურორის განცხადებაშია ნათქვამი, საგამოკითხო ჯგუფი სამი უწყების თანამშრომლებისგან დაკომპლექტდა.

– აღნიშნული საქმის გამოძიების მნიშვნელობა, სისხლის სამართლის საქმის დიდი მოცულობის და კომპლექსურობის გამო, აგრეთვე, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წესდების – რომის სტატუტისა და საქართველოს მიერ ნაკისრი სხვა საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით, მთავარი პროკურორმა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების წარმოება მთავარი პროკურორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს დაავალა. სისხლის სამართლის საქმეს საპროცესო ხელმძღვანელობას საქართველოს მთავარი პროკურორის საგამოკითხო ნაწილის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მირანდა მეღვინე და საქართველოს მთავარი პროკურორის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მედეა როსე-ბაშვილი გაუწევინ, – აღნიშნული პროკურორის განცხადებაში.

გამოკითხვა მაქსიმალურად სწრაფად ხელმისაწვდომი იქნება

სამართლებრივ მთავარი პროკურორისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილის, გელა სვედეგიძის დაკავების საქმეზე განცხადებას აგრეთვე, რომელსაც „ინტერპრესისი“ უცვლელად გთავაზობს:

– საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილის გელა სვედეგიძის მიერ ინტერნეტსაგარეო გეოგრაფიულ ფარგლებში და სხვათა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების განთავსების საქმეზე სწრაფი და ეფექტური გამოძიების ორგანიზებასა და საპროცესო ხელმძღვანელობას ასორცილებულ და საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი.

საქართველოს პროკურორული უზრუნველყოფის მოცემულ საქმეზე გამოძიების მიმდინარეობის მაქსიმალურ დაჯაროებას და ხელმისაწვდომობას და, შესაბამისად, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა დაარწმუნდეს მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში.

რაც შეეხება საჯარო განცხადებებს საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ ბიზნესის ლობიების თაობაზე, ეს განცხადებები არაფერია პროკურატურა, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მათ საფუძველზე გამოძიებას ვერ დაინებებს, – ნათქვამია პროკურორის განცხადებაში.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ჯანდაცვა

ცნობილია, რომ პროფესიული სპორტის განვითარება, სპორტსმენთა მაღალი სპორტული შედეგები ნიჭიერ სპორტსმენებთან კვალიფიციური მწვრთნელების თავდაუზოგავი შრომის, წვრთნის და სპორტსმენებთან თანამედროვე სპორტული მედიცინის ხაზით აქტიური მუშაობის შედეგია.

სადღეისოდ საქართველოში მოქმედებს სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის სამი ცენტრი, რომლებიც სუფთა პრაქტიკულ მუშაობას ეწევიან სპორტსმენთა სამედიცინო უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მაგრამ მათ არ ძალუძთ სპორტსმენთა ფიზიკური მომზადების დონის, მათი განვითარების, დაავადებათა და ტრავმულ დაზიანებათა მდგომარეობისა და ა. შ. თანამედროვე მედიცინულ დონეზე შესწავლა... არადა, ეს სადღეისოდ სპორტულ მედიცინაში აუცილებელ პირობად ითვლება.

თანამედროვე სპორტი მეცნიერულ საფუძვლებზე უნდა ვითარდებოდეს, ხოლო სპორტულ მედიცინას ამ საქმეში ერთ-ერთი წამყვანი როლი მიენიჭება.

სადღეისოდ საქართველოში მოქმედებს სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის სამი ცენტრი, რომლებიც სუფთა პრაქტიკულ მუშაობას ეწევიან სპორტსმენთა სამედიცინო უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მაგრამ მათ არ ძალუძთ სპორტსმენთა ფიზიკური მომზადების დონის, მათი განვითარების, დაავადებათა და ტრავმულ დაზიანებათა მდგომარეობისა და ა. შ. თანამედროვე მედიცინულ დონეზე შესწავლა... არადა, ეს სადღეისოდ სპორტულ მედიცინაში აუცილებელ პირობად ითვლება.

სწორედ იმისთვის, რომ საქართველოში სპორტული მედიცინის განვითარებამ ხელი შეუწყო სპორტის შემდგომ აღმავლობას, საჭიროა სპორტული მედიცინის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის შექმნა.

ამ მიმართულებით საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციას წლების განმავლობაში დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული, რის საფუძველზეც მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში სპორტის სამინისტრომ განაცხადა, რომ ეთანხმება აღნიშნული ცენტრის დაარსებას, რაც უდავოდ მისასალმებელია.

სადღეისოდ გადასანჯვეტია, თუ სად დაარსდეს და ვის განკარგავში იქნეს სპორტული მედიცინის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი.

ერთიც კია. თუ აღნიშნული ცენტრი განთავსდება ისეთ შენობაში, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს რომელიმე სამედიცინო დაწესებულებასთან (კლინიკებთან), მაშინ იგი საბოლოო ჯამში დაემსგავსება სადღეისოდ არსებულ პრაქტიკულ სამედიცინო დაწესებულებებს – სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრებს, რისი დაშვებაც არ შეიძლება. არსებობს აზრი, რომ ზოგიერთ კერძო სამედიცინო ცენტრს სურს, დააარსოს საკუთარ ბაზაზე ახალი სპორტული მედიცინის ცენტრი, რისი კატეგორიული წინააღმდეგე არიან სპორტული მედიცინის ასოციაცია და ასოციაციის წევრები – სპორტული მედიცინის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

რატომ? იმიტომ, რომ მათი აზრით, მედიცინის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი აუცილებლად უნდა შეიქმნას მრავალპროფილიან კლინიკურ საავადმყოფოში. ამ საავადმყოფოში უნდა მოქმედებდეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტი, სადაც სწავლებას გადიან სამედიცინო ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტები. აღნიშნული განაწევრებების მიღებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ



სენტრი, როგორც კალიან საქირკა

სად უნდა შეიქმნას და ვის მფლობელობაში უნდა იყოს სპორტული მედიცინის ცენტრი?

ამ ორი სამეცნიერო ობიექტის თანამშრომლები ერთობლივი ძალეებით (მეცნიერული და პედაგოგიური კადრებით, სამედიცინო აპარატურითა და სხვა) ბევრად უფრო წარმატებით შეძლებენ არჩეული სპორტული მედიცინის რომელიმე პრობლემაზე როგორც მუშაობას, ისე მეტი პასუხისმგებლობით მოვეციდებიან გამოკვლევაზე ან სამკურნალოდ მოსული სპორტსმენების მზრუნველობის საქმეს და სხვა.

მრავალპროფილიან კლინიკურ საავადმყოფოში ახალი სპორტული მედიცინის ცენტრის შექმნა კიდევ იმითაა გამართლებული, რომ ასეთ საავადმყოფოში მისულ სპორტსმენებს ახლანდელივით აღარ მოუხდებათ სხვადასხვა სამედიცინო ცენტრში მისვლა, რაც უარყოფითად მოქმედებს დაავადებულ (ტრავმირებულ) სპორტსმენთა გუნება-განწყობაზე. მრავალპროფილიან საავადმყოფო უნდა მოქმედებდეს ყველა ძირითადი განყოფილება, კაბინეტი, ლაბორატორია და სხვა. და რაც აღსანიშნავია, აღდგენითი მკურნალობის აუცილებელი ფიზიკური რეაბილიტაციის სამსახური, რომელიც ზემოაღნიშნული დეპარტამენტის ხელმძღვანელობით უნდა მუშაობდეს.

სწორედ ასეთი სამედიცინო დაწესებულება ყოფილი რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო, რომელიც დღეს ნ. ა. ყიფშიძის სახელობის სპორტული მედიცინის კლინიკად იწოდება. ერთ დროს იგი საქართველოში წამყვან კლინიკად ითვლებოდა, სადაც ავადმყოფთა წარმატებულ მკურნალობასთან ერთად, ასეთივე წარმატებით ასწავლიდნენ სამედიცინო ფაკულტეტის (აღრე მას ეწოდებოდა სამკურნალო ფაკულტეტი) V-VI კურსის სტუდენტებს, ამალბდნენ ახალგაზრდა ექიმების კვალიფიკაციას და სხვა.

როდესაც საუბარი ეხება სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტის და სპორტული მედიცინის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ერთი საავადმყოფოს ბაზაზე მუშაობას, უფლება არა გვაქვს, დიდი პატივისცემით არ მოვიხსენიოთ ცნობილი ქირურგ-რევმატოლოგი, აკადემიკოსი ოთარ ლუღუშაური. სამედიცინო უნივერსიტეტში მისი რექტორობის პერიოდში, პროფესორ რომანოზ სვანიშვილის თხოვნით, ზემოაღნიშნულ დეპარტამენტს (მაშინ მას კათედრა ეწოდებოდა), ბატონ ოთარ ლუღუშაურის გადაწყვეტილებით, რესპუბლიკურ ცენტრალურ საავადმყოფოში გამოეყო 10 რეაბილიტაციის საწარმოლიანი 2 პალატა, სადაც 15 ავადმყოფი მუდმივად გადიოდა აღდგენით მკურნალობას.

შემდგომში პროფესორი ნაირა ჭაბაშვილი, რომელიც 2000 წელს, როგორც ხელმძღვანელი, სათავეში ჩაუდგა ამ საქმეს, ასევე წარმატებით აგრძელებდა სპორტსმენებისა და სხვა რიგითი ავადმყოფების აღდგენით მკურნალობას მანამ, სანამ სამედიცინო უნივერსიტეტის კათედრები არ გამოაძევეს ზემოაღნიშნული საავადმყოფოიდან.

პროფესორი რ. სვანიშვილი აღნიშნავს, ჯერ კიდევ ადრე იყო ჩაფიქრებული ამავე საავადმყოფოში სპორტული მედიცინის ცენტრის შექმნა, რაც ცნობილი მოვლენების გამო ვერ მოხერხდა, შემდეგ კი მივიწყებდას მიეცა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ, თუ გვინდა საქართველოში სპორტული მედიცინის თანამედროვე დონეზე განვითარება, სწორედ ყოფილი რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს შენობაში უნდა განხორციელდეს, როგორც სპორტული მედიცინის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის დაარსება, ისე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტის გადაყვანა, ფაქტობრივად დაბრუნება, მითუმეტეს, რომ აღნიშნული კლინიკის ხელმძღვანელობა მზარდაჭერით შეხვდა ამ პროგრესული ღონისძიების პრაქტიკულად განხორციელებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად საგულისხმოა ისიც, რომ ეს დეპარტამენტი ასწავლის სამედიცინო ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტებს, რომელთაგან ყოველთვის შეიძლება სპორტული მედიცინისთვის მეცნიერული და პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო ექიმთა კადრების შერჩევა-მომზადება.

ჩვენ მივიჩნევთ, რომ სწორედ ასეთი გზით არის შესაძლებელი საქართველოში სპორტული მედიცინისა და ფიზიკური რეაბილიტაციის განვითარება და მისი შემდგომი სრულყოფა.

ვალერი ახალკაცი,

საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტი;

ზურაბ პახაპარიშვილი,

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მთავარი ექიმი;

ნაირა ჭაბაშვილი,

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

რომანოზ სვანიშვილი,

სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

ალიან-ჩაღიანი

საია მიხეილ სააკაშვილს სასამართლოში უჩივის

„სამბრტყელო“ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ზურა ვაზაგაშვილის პატივისა და ღირსების შელახვის ფაქტზე სარჩელით მიმართავს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან აცხადებენ.

საია IO მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიხეილ სააკაშვილის სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოთქმულ შეფასებას ეხმაურება.

— მედიასაშუალებებით გავრცელებულ აუდიოჩანაწერში პრეზიდენტი აცხადებს შემდეგს: „ის, რომ ხალხს ქუჩაში სოციალიზმზე, იმავე სერიოზულობით, მე რომ ძუძუებს ვაჭამდი. სად სოციალიზმზე ხალხს ქუჩაში ჩემი მთავრობის დროს? 37 რჩეული ვაჭკაცო მოგვიკვლიეს — ვინ რჩეული ვაჭკაცო, ვაზაგაშვილი? ვაზაგაშვილს ჰქონდა ორი ავტომობილი და მიდიოდა სხვების დასახოცად“. ინტერნეტსაიტებში ასევე გავრცელდა ერთ-ერთი სტუდენტის ინტერვიუ ჟურნალისტთან, რომელმაც პრეზიდენტთან შეხვედრისას დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვა. ინტერვიუში სტუდენტი აცხადებს, რომ მან დარბაზი დატოვა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი „ის ახალგაზრდები, რომლებიც შეინირა რეჟიმმა, კვლავ მოიხსენიან მედიკუმებით, კერძოდ — ვაზაგაშვილი, აფრასიძეები“. ზემოაღნიშნულ აუდიოჩანაწერში პრეზიდენტი ცალსახად, მტკიცებით ფორმაში, ამბობს, რომ „ვაზაგაშვილს ჰქონდა 2 ავტომობილი და მიდიოდა სხვების დასახოცად“, — ნათქვამია საიას განცხადებაში.

ორგანიზაციის შეფასებით, აღნიშნული ფრაზის თქმით პრეზიდენტი ზურაბ ვაზაგაშვილს დანაშაულის ჩადენას აბრალებს. მათივე მტკიცებით, ფაქტია, რომ პრეზიდენტის მიერ სტუდენტებისადმი მიწოდებული ინფორმაცია არ ასახავს გამოძიების მიერ დადგენილ ფაქტებს.

საიას განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, ის გარემოება, ჩაიდინა თუ არა რომელიმე პირმა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რაიმე სახის დანაშაული, შეიძლება დადგინდეს მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

„პრეზიდენტის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ „ვაზაგაშვილს 2 ავტომობილი ჰქონდა და მიდიოდა სხვების დასახოცად“, გამოძიებით მიერ დადგენილ ფაქტებს არ ეფუძნება. ასევე გვსურს, საზგასმით აღვნიშნოთ, რომ 2006 წლის 2 მაისს კორტებთან განხორციელებულ სპეცოპერაციისას დაკავშირებით დღემდე მიმდინარეობს გამოძიება სხვადასხვა მიმართულებით. შესაბამისად, პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ტიპის გამოწვევებში აღნიშნული საქმის გამოძიებულების მიერ შესაძლებელია გარკვეული სახის ფსიქოლოგიურ ზეწოლად აღიქმებოდეს, — ნათქვამია საიას განცხადებაში.

ორგანიზაციის მტკიცებით, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევასთან ერთად, პრეზიდენტმა არც ის გათვალისწინა, თუ რა საიმპიის მორალურ ზიანს მიაყენებდა მისი გამოწვევები გარდაცვლილი ზურაბ ვაზაგაშვილის ოჯახის წევრებს.

საია ზურაბ ვაზაგაშვილის მშობლების მიმართვის საფუძველზე, სარჩელით მიმართავს თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდენტის წინააღმდეგ ზურა ვაზაგაშვილის პატივისა და ღირსების შელახვის ფაქტზე.

ბრაკონიერობის წინააღმდეგ ზომები

ბრაკონიერობის წინააღმდეგ ზომების განაცხადების საკითხზე და ამ მიმართულებით მომზადებულ კანონპროექტზე გუშინ გაარემოს დატვირთა ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სხდომაზე იმსჯელეს. თევზჭერის და ნადირობის, ასევე ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარი სარგებლობის წესების დარღვევისთვის ადმინისტრაციული სანქციები მკაცრდება. ცვლილებების პროექტი გაარემოს დატვირთა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილმა მოამზადა.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილებებში შედის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმების კანონდარღვევით ჭერისთვის კონკრეტული სანქციები შემოიღეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, აგრეთვე იცვლება სისხლის სამართლის კოდექსის მე-300 მუხლი, რომლის მიხედვითაც, ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით ან სხვა აკრძალული იარაღით თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურების შემთხვევაში ქმედება კვალიფიციური დანაშაულის სამართლის დანაშაულად, მიუხედავად იმისა, დამარღვევმა მოიპოვა თუ არა თევზის რესურსი.

ცაგარეიშვილის განცხადებით, წარმოდგენილი კანონპროექტების მომზადება ბოლო წლებში ბრაკონიერების მიერ ფლორისა და ფაუნისთვის განუსაზღვრელი ზიანის მიყენებამ განაპირობა. მისივე ინფორმაციით, წინა ხელისუფლების მიერ არაქმედითი ნაბიჯების გადადგმა და ბრაკონიერობის დეუსჯელობამ ქვეყნის მასშტაბით არაერთი სავალალო პრობლემა წარმოიშვა, რასაც მოწმობს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან კომიტეტში შემოსული კოლექტიური წერილები უკანონო თევზჭერის და ნადირობის შემთხვევების მოთხოვნით.

ინტერპრესი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოში საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა თავისი საქართველო-საბერძნეთის ურთიერთობის შესახებ. ადრე თავისი წარმომადგენელი განსაზღვრა მმართველმა კოალიციამ „ქართული ოცნებამ“, რომელმაც ფილოსოფოსი გიორგი მარგველაშვილი დაასახელა. აღადგინონ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობანი, სურს მხოლოდ ერთ კანდიდატს, და მას დიდი შანსები არ გააჩნია.

საქართველოში ჩამოყალიბდა პოლიტიკოსების ჯგუფი, რომლებმაც განაცხადეს სურვილი მიიღონ მონაწილეობა პრეზიდენტის არჩევნებში ოქტომბერში. კონსტიტუციის ცვლილებების თანახმად, ახალი პრეზიდენტი ინაუგურაციასთან ერთად მისი ხელისუფლება კიდევ უფრო შევიწროვდება, ზოგიერთი მისი უფლება გადავა მთავრობაში (პრეზიდენტს არ შეეძლება დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა პარლამენტის თანხმობის გარეშე), მაგრამ მსურველთა რაოდენობა, ვინც აპირებს იბრძოლოს უმაღლესი პოსტისთვის, მაინც ბლომად არაა.

ყოველთნის ჯუჯანი გიორგის

მომხმადი პრეზიდენტი მისი სააკაშვილი ამთავრებს თავის მეორე ვადას და არა აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში. ადრე მან თავმდაბლურად გამოთქვა მზადყოფნა გახდეს შემდეგი ლიდერის მრჩეველი.

წინა დღით სურვილი — გახდეს დამოუკიდებელი კანდიდატი — გამოთქვა საგარეო საქმეთა ექსპრინსტრმა, პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა, რომელმაც ისურვა „ხალხის რეალური მხარდაჭერა“. მას მიაჩნია, რომ პრეზიდენტი ხალხმა უნდა აირჩიოს და არა რომელიმე პოლიტიკურმა ჯგუფმა. საფრანგეთში ქართველი ემიგრანტების ოჯახში გაზრდილი ზურაბიშვილი საგარეო საქმეთა სამინისტროს სათავეში ედგა 2004-2005 წლებში, თანაც ერთდროულად რჩებოდა საქართველოს და საფრანგეთის მოქალაქედ. თავის დამსახურებად მას მიანიჭდა წარმატებული მოლაპარაკება რუსეთის ხელმძღვანელობასთან, რომლის შედეგადაც მოსკოვი დათანხმდა გაეტანა თავისი ბაზები რესპუბლიკიდან.

დღემდე ზურაბიშვილი ითვლებოდა მმართველი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ საბაზათო კანდიდატად. მაგრამ შაბათს პრემიერ-მინისტრმა, „ოცნების“ ლიდერმა და სხვათა შორის, შეთავსებით საქართვე-

ლოს და საფრანგეთის მოქალაქეებაც ბიძინა ივანიშვილმა მოულოდნელად სხვა კანდიდატი დაასახელა. იგი განათლების მინისტრი, ფილოსოფოსი გიორგი მარგველაშვილი გახდა.

პოლიტიკაში მოსვლამდე მარგველაშვილი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტსა და თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში, თანამშრომლობდა საერთაშორისო ურთიერთობათა ამერიკის ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტთან.

რუსეთისკენ მიუხედავად
საქართველოში მისი სააკაშვილის მმართველის აღიარება არაოფიციალური რბოლა დაიწყო

წულ დემოკრატიულ ინსტიტუტთან. ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

„ჩემი აზრით, ამ ადამიანს ყველა დადებითი თვისება აქვს უხვად, რომ იყოს კარგი პრეზიდენტი... როდესაც ვინმე ძალიან მჭირდება, ყოველთვის ვუძახის გიორგის“, — განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება ზურაბიშვილს, პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ ექსპრინსტრი არ შედის მის გუნდში, მის პარტიას კი მესამე ძალად მიიჩნევენ. ზურაბიშვილის გარდა, უმაღლესი პოსტის კანდიდატთა შორის ადრე ითვლებოდნენ ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი, ყოფილი ფეხბურთელი კახი კალაძე, აგრეთვე თავდაცვის მინისტრი, პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია, რომელმაც ჯერ კიდევ იანვარში მიგვანიშნა თავისი საპრეზიდენტო ამბიციების შესახებ.

საზოგადოების გაღაღილება ჩვენი მმართველობისგან

თავის მხრივ, „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ ასახელებს პარლამენტის ექსპერტს ნინო ბურჯანაძეს, ერთადერთ კანდიდატს, რომელიც მოგვიწოდებს აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობანი რუსეთთან.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დამით დარჩიაშვილი დარწმუნებულია, რომ თუ ამომრჩეველთა უმრავლესობ-

ბა არჩევნებს რაციონალურად მიუდგება და შეისწავლის კანდიდატების პროგრამებს, „მარგველაშვილს თითქმის არ უნდა შექონდეს გამარჯვების შანსები“. „მაგრამ, თუ მთავარ როლს შეასრულებს ივანიშვილის ფაქტორი, თუ კვლავ ძველებურად იბატონებს სასწაულის იმედი, რაც მილიარდებშია უნდა შეასრულოს, მაშინ გამარჯვებას მარგველაშვილი“, — უთხრა დარჩიაშვილმა ჩვენს გაზეთს.

როგორც დარჩიაშვილი ვარაუდობს, თუ ბურჯანაძე განახორციელებს აქტიურ საარჩევნო კამპანიას, ხმებს წაართმევს „ქართულ ოცნებას“.

„რისთვის სჭირდება კოალიციის ლიდერს ამის გაკეთება? მას არ ესმის, რომ ბურჯანაძე წაართმევს ხმებს არა ოპოზიციას, არამედ მას თავად? იქნებ მან ეს იცის და სურს, რომ პრეზიდენტი, ვინც უნდა იყოს იგი, აღმოჩნდეს სუსტი და მასზე გამოკიდებული, მათ შორის იმის გათვალისწინებით, რომ გამარჯვებას მცირე უპირატესობით?“ — ვარაუდობს პოლიტიკოსი.

„ბუჯანაძე ნიჭიერი იქნება“

მეზობლის საქართველოს ცენტრის დირექტორი გულბაათ რცხილაძე დარწმუნებულია, რომ გამარჯვება ნებისმიერ შემთხვევაში მარგველაშვილს დარჩება. „იმ პირობებში, როდესაც ივანიშვილი ინარჩუნება ძალიან დიდ პოპულარობას, მის მიერ დასახელებულ კანდიდატურას აქვს ყველაზე უკეთესი შანსები. თუმცა, დამოუკიდებელი კანდიდატობა შეიძლება გააუწიოს კონკურენცია“, — ვარაუდობს რცხილაძე ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში.

პოლიტოლოგი არ არის გაოცებული იმით, რომ კანდიდატი განათლების მინისტრი გახდა მაშინ, როდესაც ნათელი და გავლენიანი თავდაცვის მინისტრი ალასანია უარს ამბობს თავის გეგმებზე.

„ეს თავიდანვე ნათელი იყო. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ პრემიერმა თქვა, რომ ალასანიას სხვაზე ბევრი საქმე აქვს. მან შეკვეცა მისი უფლებამოსილება, გახდა მხოლოდ თავდაცვის მინისტრი ვიცე-პრემიერის ნაცვლად. ცხადი გახდა, რომ ალასანია კანდიდატი აღარ იქნებოდა. მით უმეტეს, რომ იგი მხარს უჭერს პრეზიდენტის მოდელს ნინიფაძე და არ სურს იყოს სახელმწიფოს მეთაური შეზღუდული უფლებამოსილებით“, — აღნიშნა ექსპერტმა და დაუმატა, რომ მარგველაშვილი უკეთ მისადაგება ამ პოსტს საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა განვითარებისთვის საჭიროა.



დედაჩინის ზურგზე



ბელარუსში მამის უდიდესი პირადი დახმავების გულდასმით მუშაობა განაგრძობს თითქმის მთელი ქვეყნის მხოლოდ მისი ცენტრალური ნაწილი გზის მშენებლობის ქვეშისთვის. ცერემონიული ცენტრი აშენდა 2300 წლის წინათ და ითვლებოდა მაის კულტურის ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლად ჩრდილოეთ ბელარუსში მექსიკის საზღვართან. მართალია, ის იმყოფებოდა კერძო ტერიტორიაზე, მისი დანგრევა იფიქნებოდა კანონით.

თურქეთში დაახლოებით ორმახტირად კიდეზე რვა ეთნიკურ-ნიღბი

საზღვრისპირა ტერორისტული აქტების საქმეზე დაკავებულთა საერთო რიცხვა 17 კაცს მიაღწია. ამ ტერორისტულმა აქტებმა 50-ზე მეტი კაცის სიცოცხლე შეინარჩუნა. დაკავებულთაგან 9 თურქეთის მოქალაქეა. ახალდაკავებულთა ბიროვნების შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ არსებობს.



„ისტორიული“ ფორუმი არძტიკის ბაიის შესახებ: რუსეთის სურს, ხელი შეუხალოს ევროკავშირს, ჩინეთსა და ინდონეზიას, მათ შორის მათ შორის

არქტიკული საბჭოს მინისტრების ორდღიანი სესია იხსნება შედეგით. პრესის ცნობით, რუსეთის ფედერაცია შეეცდება მყარი წინააღმდეგობა გაუწიოს არქტიკულ პრეტენზიებს „არარეგიონალური მოთამაშეებისა“, რომლებიც ცდილობენ მიიღონ ორგანიზაციაში მთავარი მეთვალყურეების სტატუსი. ოპონენტებს უკვე აქვთ სათანადო გეგმა — რუსეთისთვის უკიდურესად არახელსაყრელი.



გაბრიელ მონტეალბან მონივილი-ლიაბს, იკვებამოქმედან მწერებით გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მთელ მსოფლიოში დაახლოებით ორი მილიარდი კაცი რეგულარობის სხვადასხვა დონეზე იკვებებიან სოჭობით, კალიებითა და ჭიანჭველებით. გაერო გვამცხობს, რომ 2030 წლისთვის დედაჩინის მოსახლეობა შეადგინს 9 მილიარდ კაცს და კვების პრობლემა მწვავედ დადგება.

განსაზღვრულია — რაციონალიზმი. ეს ნიშნავს, რომ სერიოზული პრობლემები, რომლებიც დღეს არსებობს ორ ქვეყანას შორის, გადაწყდება სახელმწიფო ინტერესების კონტექსტში და არა პოლიტიკური ინსტიტუტების ან ემოციებით, როგორც ეს იყო წინა ხელისუფლების დროს. ჩვენ შევეცდებით ამას. ეს გრძელ გზაა, მაგრამ ვეტყვობთ, რომ განსაზღვრულია — რაციონალიზმი.




„საქართველოს რუსეთთან ექნება არა ემოციური, არამედ რაციონალური“ ურთიერთობა

პრეზიდენტის არჩევნების კონკრეტული თარიღი, რომელიც უნდა გაიმართოს ოქტომბერში, ჯერჯერობით გამოცხადებული არ არის, მაგრამ პრეტენდენტების რბოლა უკვე დაიწყო. „ქართული ოცნების“ ლიდერმა, პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა უკვე დაასახელა კანდიდატი მმართველი პარტიიდან, რომელიც ავტომატურად გახდა ფავორიტი ამ პოსტზე. ეს არის მთავრობის თავმჯდომარის ამჟამინდელი მოადგილე, განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი. 44 წლის ფილოსოფოსი დოქტორი თავის პირველ ინტერვიუში რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის ჩვენს გაზეთს ესაუბრება იმის შესახებ, თუ გამარჯვების შემთხვევაში როგორ ააგებს ურთიერთობებს რუსეთთან და დასავლეთთან.

რამდენიმე ცნობილი ქართველი პოლიტიკოსმა უკვე განაცხადა თავისი მზადყოფნის შესახებ, იბრძოლოს პრეზიდენტის საჯარძლისთვის. მათ შორის არიან პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელი სალომე ზურაბიშვილი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი. მისის ბოლომდე დასახელებს თავის კანდიდატს ამჟამინდელი პრეზიდენტის მისიელ სააკაშვილის პარტიიდან. არ გეშინიათ კონკურენტისა?

პრეზიდენტობის კანდიდატი

„ქართული ოცნებიდან“ გიორგი მარგველაშვილი იმის შესახებ, თუ რატომ არ ეშინია კონკურენტისა სახელმწიფოს მეთაურის პოსტისთვის ბრძოლაში



— არა, არ მეშინია. ჩემს უკან ხომ „ქართული ოცნება“ დგას — ქვეყნის წამყვანი პოლიტიკური ძალა, რომელსაც მოსახლეობის უმრავლესობა უჭერს მხარს. ვფიქრობ, სირთულეები არ იქნება. — როგორ გაქვთ განზრახული ააგოთ ურთიერთობა რუსეთთან და დასავლეთთან გამარჯვების შემთხვევაში? — ჩვენ უნდა გადავიდეთ უფრო რაციონალურ პოლიტიკაზე რუსეთთან ურთიერთობებ-

ეს არის ეკონომიკა და ჰუმანიტარული სფერო. — ამ დროს კურსი დასავლეთისკენ დეკლარირებულია უცვლელად. — რასაკვირველია. ჩვენ ავაგებთ რაციონალურ პოლიტიკას მთლიანად. ჩვენ გლობალური მსოფლიოს ნაწილი ვართ. ჩვენ ასე ვხედავთ ჩვენს როლს დამოუკიდებელ, ტერიტორიულად მთლიან სახელმწიფოდ, საიმედო პარტნიორად და პასუხისმგებელ მოთამაშედ რეგიონში.

— და კიდევ შეკითხვა. როგორც განათლების მინისტრს. საქართველოში ამჟამად ბრუნდება ინტერესი რუსული ენისადმი. რით ხსნიით ამას? — ეს საკითხი ახლა არ არის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, არამედ ის არის კულტურის, ეკონომიკის საკითხი. ჩვენ არ განვიხილავთ რუსულ ენას ყველა მის სიმდიდრესთან, ისტორიასთან დაკავშირებით, რუსეთთან პოლიტიკური პრობლემების ისტორიისა და პოლიტიკური დებატების კონტექსტში.

— „ქართული ოცნებამ“ უკვე განსაზღვრა მოსკოვთან ურთიერთობების მოწესრიგების პრიორიტეტები? — დიახ, უკვე ნათლად მოჩანს, რომ ჩვენ დავინწყეთ ასეთი პოლიტიკის მშენებლობა ეროვნული ინტერესების საფუძველზე.

სანერ მაგიდაზე საკმაო ხანია ორი წიგნი მიდევს. დროდადრო ვფურცლავ და ვტკბები. ესენია მარინე ცხვედიაშვილის „დამიმახსოვრე“ და ჯემალ კუხალაშვილის „მე არა...“

მეუღლეთა ხსენებული კრებულები ტექნიკური თვალსაზრისით სანიმუშოდაა გამოცემული. მაგრამ მთავარი მაინც შინაარსია, ლირიკული აღსარებანი.

მ.ცხვედიაშვილის ლექსები გამორჩეულია პოეტური მიგნებებითა და მოვლვარე სახეებით. ავტორს ნამდვილად ხელუწიფება სიტყვათქმნადობა. ამ მხრივ ბევრი კალმოსანი ვერ აუბამს მხარს.

„სულში ხვატია და ვქარტეხილობ, ბათუმის ზეცას ვეჩონგურე“.

ხაზგასმული სიტყვა ბევრის მოქმელია. არა „ვეტრფი“, არა „ვეთაყვანები“ და ა.შ., არამედ „ვეჩონგურე“. ამით ცნაურდება არა მხოლოდ გრძნობა, არამედ ქართული სული და ბევრის დამტვევი სიტუაცია. პარალელები არცთუ მცირეა. მაგალითად, „ვნიბიანი ღამით მძიმე სამოსს შეიშლიფებს“, „იქნება მერე მხატვრის ქოხიც ემეთანოს“, „მეც რა გზაწვრილები ვითარდავ“ და სხვ.

საგულისხმოა განზოგადოებებიც. ერთ ლექსს, რომელიც დედის ეძღვნება, ჰქვია „მარადისობის მწყემსი“. ამ სინტაგმაში მთელი ფილოსოფიაა ჩაქსოვილი. დედა, მართლაც, არის ყოფიერების სიმბოლო, კაცობრიობაზე მზრუნველი და მისი გადამრჩენი.

ქალბატონ მარინეს შესწევს უნარი ბევრის მიმნიშნებლად, სხარტად და ემოციურად გადმოსცეს აზრი. მაგალითად, „მანდილი სხვეებისთვის სამშვენია, ჩემთვის ცრემლების სამალავი“. ან

„მზეს კახელები ტივებივით მოაგორებენ, ნაქურდალ მთვარეს ბოლო უჩანს მამლის კუდივით“.

კითხულობთ მ.ცხვედიაშვილის ლექსებს და კიდევ ერთხელ რწმუნდებით, რომ პოეზია, მართლაც, სახოვანი აზროვნების უმაღლესი გამოვლენაა.

და მაინც, როგორაა ავებული ცრონიკალი? რას ეფუძნება სახეების მეტაფორა? არა მხოლოდ სასურველ განცდას იწვევს, არამედ ფართო პანორამის წარმოსახვაშიც გვშველის. მით უფრო ძლიერია სურათი, როცა გარემოსთვის ნაწილობრივ დეტალებს აერთიანებს. ამ მხრივაც მ.ცხვედიაშვილს თვალსაჩინო მიღწევები აქვს. დავეუკვირდეთ შემდეგ სტროფს:

„ხონჩით მოგართმევ ალაზნის ღამეს, სიზმრის დედა რომ ყვარობს მალულად და საწნახელში ჩავარდნილ მთვარეს, მთას რომ საწაწლოდ გამოპარულა“.

ყოფითი საგნების თუ მოვლენების („ხონჩა“, „საწნახელი“, „წაწლობა“) ამაღლებულის სფეროში გადატანა გრძნობის სიმძაფრე-უშუალობას ზრდის.

ამ ხერხის მომარტვევა სტილურ ხასიათს იძენს და ლექსთა ანაკადებას აპირობებს. ერთიცაა: ეთნოგრაფიული ელემენტები დამატებლობას მატებს ნათქვამს. მ.ცხვედიაშვილის ლექსებმა კიდევ უფრო დამახლოვებს ქიზიყთან. კიდევ უფრო შემაყვარეს ვახეთი.

დიდებულია „მთვარის ბილიკით“, „მონატრება“, „ავადმყოფი მზე“... რომელი ერთი დავასახელოთ.

მართლაც, უსიყვარულოდ და უგრიგალოდ არ უწერია ლექსი არც ერთი.

ნადი ხელოვანი ორიგინალურად აღიქვამს სამყაროს. ეს ჯემალ კუხალაშვილზეც ითქმის. ვისაც ამერიკაში მისი მოგზაურობის ამბავი მოუსმენია, დამეთანხმება, რომ უზნობისას წინ იწევს ობიექტი დაფარული შრეების შეცნობის სურვილი. ეს ტენდენცია პოეზიაშიც მძლავრობს.

გადაიკითხეთ „სიყვარული“ და რამდენადმე დაკვალიანდებით ბატონი ჯემალის პოეტური ოსტატობის შესაცნობად.

„ეს შემოდგომის ამინდები ჯანდევით ამრევს, სიტარმაგეში სილამაზე როდი შობილა, ცის თეთრი მკერდით მთვარე მკლავემ დაიწვენს ღამეს, გადიპარება ვარსკვლავებში დედიშობილა...“

მეორეგან ამბობს: „წაჩოქილი ვარ ყელგაღარულ შველის ნუკრევით და ლექსის მადლით თავაწყვეტილ სათქმელს ვწადილობ“.

ზოგიერთ ლექსში მძლავრობს ყოფითი სურათებით მტკიცება, ზოგან ნახევარტონები ბატონობს, არცთუ იშვიათია მხატვრული ალოგიზმი და ა.შ. ერთი სიტყვით, პალიტრა მდიდარი და ფერადოვანია.

როცა სათქმელი დიდია, მის გასამჟღავნებლად ერთი სფერო გვევიწროება. ამიტომაც ვცდილობთ სხვა გუმბათებსაც დავესესხოთ, ორიგინალური ფორმა მოვეძებნოთ ჩანათიქნს. ამაში ერთხელ კიდევ დარწმუნდებით, თუ ჯ.კუხალაშვილის შემოქმედებას გაეცნობით.

ბატონი ჯემალის ფუნჯითაც ცდილობს ჩვენს დამოძღვრას. კრებულში ოთხმოცზე მეტი სურათია დასტამბული. ისინი კიდევ უფრო ზრდიან ამ ნიჭიერი შემოქმედლის ნაღვარისადმი ინტერესს, მისი სულის უკეთ შეცნობის წადილს.

ეს სურათები ლექსთა დამატებები როდია. ისინი დამოუკიდებელი ერთეულებია ორიგინალური გაზრებითა და უღერადობით.

მომწონს „ზამთრის პირი“, გაძარცული ხე. ტოტებზე ეული ფურცლები. ისინი ზარებს მივამსგავსე. თითქოს ხმიანებენ კიდევ. რაზე? იქნებ სამყაროს სიდიადებზე. იქნებ ბუნების კანონზომიერებაზე. იქნებ ცხოვრების უკეთ შეცნობის აუცილებლობაზე. იქნებ...“

ბატონი ჯემალის ნახატები საგანგებო კვლევის საგანია. ამჯერად ეს არ ხერხდება. ერთი კი მაინც უნდა ითქვას. ჯ.კუხალაშვილი ჩვენს ფერწერაში ამინდს ქმნის. იგი იმ ოსტატთა გვერდით მოიხსენიება, რომელთაც უმძიმესი ტვირთის აზიდვა არგუნა ბედმა.

ერთი დეტალიც: მეუღლის წიგნი ბატონი ჯემალის ფერადი სურათებია დასტამბული, საკუთარ კრებულში კი შავ-თეთრი. ესეც ხომ არ მიგვანიშნებს ოსტატის ხასიათზე?

როგორც წიგნის რედაქტორი დავით ანდრიაძე მიუთითებს, ჯემალ კუხალაშვილი ნათელია თავისი არტიტული ბუნებითა და ჰაბიტუსითაც. მისი „ფერიც ხმაურობს და სიტყვაც“, მაგრამ „მუდამ ითვალისწინებენ, გნებავთ, გულისხმობენ სიჩუმეს“. რაც მთავარია, ეს ტილოები ღრმად გვაფიქრებენ და საზოგადოებრივ განვითარებებს განაპირობებენ. ამიტომ ნუ გავგავკვირვებს კონტურების სიხშირე და დაუსრულებელი ხაზები. წარმოსახვას მეტი გაქანება მივცეთ, მომავალი უნდა გავჭვრიტოთ.

დედამიწის ამოსუნთქვას ცისარტყელის ფერები თუ ერწყმის, მაშინ ცხოვრება ლამაზად გვესახება. ამგვარი ხედვა ნამდვილად იგრძნობა მარინე ცხვედიაშვილისა და ჯემალ კუხალაშვილის ნაწარმოებებში.

ნოდარ ტაბიძე

მოელპარე და დატვირთული კრებულები



მარინე ცხვედიაშვილი

სულის სარკმლიდან

მე წამაწერეს პაპირუსებს უსათაუროდ, ისე ვით ლექსი, აფრენილი შწერლის უბიდან, და რა ხანია შენს ნაბირთან

ჩუმად ხმაურობს სარკოფაგიდან გაფონილი ცრემლის მუსიკა. გინა ვარ, რისთვის ვიარებუ ასე უკვალოდ, გემუდარებით ამომხსენით, გამოთმცანით, იქნება, რქა ვარ სამამულე, ანდა უბრალოდ, სახელდახელოდ გაიორჩინილი ოთხი ფიცარი.

დროზე უხსენი მოგონება მქვია ვგება, ან მუჭა-მუჭა გაბნეული ფეტვის მარცვალი, ჩემს ნაფეხურებს უფლისწული კი არ ეძებდა, წუთისოფელი, გულბოროტი დედინაცვალი.

იქნებ, სეფა ვარ, ასდენილი ოცნების გზებზე, მაშვრალ მოყვასთა სანუგეშოდ შემონაფეთი, მე თქვენს პოეზიაში ამოვარდნილ გრიგალებს ვეძებ და თან მიმყვება ჩემი წილი ზეცის ნაფლეთი.

რატომ მეკრძაღვი, მიწა ვარ და ბარი დამკარი, ნუ გეშორები, გზა კი არა, ნათლის სვეტი ვარ, ღვთის შვილებსა და ეშმაკს შორის რწმენად ჩამდგარი, პერგამენტებზე უფლისადმი ლოცვად ვწერივარ.

გინახავს კაცი, გადამხტარი სულის სარკმლიდან, ცოდვილ მოკვდავთა მარწუხებში გერჩატეული, და სანამ ბედი ყვავ-ყორანთა ლუკმად დამყრიდა, მუხებს მიშქონდათ მგლოვთარე ჩემი სხეული.

ლექსი ვარ, ლექსი, გაზაფხულში ხომ არ გეშლებით, რა მოხდა თუკი ჩემს კალთაში სძინავთ აპრილებს, ვარ მუსლმოყრილი თქვენს წინაშე შიშველ ფესვებით და პაპირუსთა სიჩუმეში ყოფნას ვაპირებ.

ჯემალ კუხალაშვილი

მოცარტის ჩრდილში

შავ ნავაზებს და მორთოლვარე ნიავს ღამე უყვფავს ცოდვილი ბარქით, ჩრდილს მოღლის ჩიტი, დაიწყებს ტიას, კიკინებს თხა და წყნარდება ფიქრი.

ღამის სიშლეგე ანთებულ ფარნით ბაზიერვით მიმიშვებს მსხვერპლთან, გონებას მიხშობს ცრემლის მოცარტი, ვდგავარ მოქანცულ, ტილო-მოლბერტთან.

ჭიშკრის გადაღმა ატუზულ იღბალს, ვერ შეიფარავს ოქროს მანსარდიც, მაშინ იწყება სიკვდილის როკვა — სხვისგან ათასგზის გამონაცადი.

ხელები აჭკობს ცოფიან ვარდებს, როს ბაზილიკად იქცევა კაცი, ჭირში სადილობს ჩემი წურბელა და რაც მჭირს, ჩემი ბრაღია აწი.

ვინ დაახურავს თბილ საბანს კოცონს დამზრალი სულის არმოსარჩენად, ირმის ნაწოლში დრო სიკვდილს მოძოვს თვით უკვდავების გამოსარჩლებად.

აკლავჭილი

ბალტიისპირეთიდან — უხვი ნადავლით



ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში დამთავრდა მკლავჭილითა ვერობის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ათლეტებმა სამ ასაკში 21 მედალი მოიპოვეს. კვლავ შესანიშნავად იასპარეზა მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა გენადი კვიციანიამ (110 კგ), რომელ-

საც როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა მკლავით შეჯიბრებაში ბადალი არ ჰყავდა. ორივე ფინალში მან უკრაინელი სერგეი ტოკარევი დაამარცხა. უფროსებში წარმატებით გამოვიდა ალექსი აბუთიძე — 70 კილოში მარჯვენა მკლავით გადამწყვეტი პაექრობა გიორ-

ჭილაოვა

„კლასიკოსთა“ უხეზრო საკადრო ცვლილება

საბარტმელოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდებში მწვრთნელების შეცვლამ თავის დროზე დიდი აფიოტაჟი და ხმაური გამოიწვია — საქმე განვე-გამონევაბედე მივიდა, მაგრამ ფედერაციის პრეზიდენტმა, სახელოვანმა ფალაგანმა ლუკა კურტიანიძემ გადამწყვეტილება ხელუხლებელი დატოვა. საკადრო ცვლილებების მართებულობა წლევედელმა ევროპის ჩემპიონატამც დაადასტურა.

ინიშნა. მასთან ერთად ხვირა ქორიძე და მამუკა სულთანისვილი იმუშავებენ. ახალგაზრდებს ვლადიმერ ადეიშვილი, ხოლო ჭაბუკებს ბედინაძის აღმზრდელი ვაჟა კრავიციანი ეყოლებათ მრჩეველებად. შემოიღეს ახალი შტატიც — მწვრთნელთა კურატორი და ამ ფუნქციას ბაკურ გოგიტიძე შეასრულებს. პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრისას ფედერაციის პრეზი-



თავისუფლების შემდეგ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდებშიც ელოდნენ გადაადგილებებს. და აი, ორიოდე დღის წინათ კურტიანიძემ მასმედიას „კლასიკოსთა“ ახალი მწვრთნელებიც წარუდგინა და ყველაფერი ეს უხეზროდ მოხდა. მეტიც, ბეგი დარჩიას უხეზროა კიდევ — ფიდელ კასტრო ხომ არა ვარო. ამიერიდან ეროვნულ ნაკრებს ოთარ ტატიშვილი უთავკაცებს, რომელსაც ზაზა ჯიბლაძე და ბადრი ხასაია დაეხმარებიან. ბეგი დარჩია ეროვნული ნაკრების მრჩეველი იქნება.

ცვლილებები მოხდა ასაკობრივ ნაკრებ გუნდებშიც: ახალგაზრდებს ზაზა სილაგაძე განვრთნის მუხრან მაჭუტაძისა და ოთარ ფევაძის თანადგომით, ჭაბუკთა მთავარ მწვრთნელად მსოფლიოს ჩემპიონი დავით ბედინაძე და-

დენტმა ლუკა კურტიანიძემ საზგას-მით აღნიშნა, რომ ამ მწვრთნელების საკითხი წლის ბოლოს გადაინებით ფედერაცია ვისაც დაამტკიცებს, ის შემადგენლობა რიოს ოლიმპიადის ჩათვლით იმუშავებს. კურტიანიძემ ისიც დასძინა, რომ მწვრთნელთა შტაბი ყველა პრობლემას ერთობლივად გადაწყვეტს. „კლასიკოსებს“ მან წლევედელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მალალი მიწები დაუხასა — სულ მცირე 10 ქროს და 3 სხვა სინჯის მედალი, ასაკობრივებს კი მეტი მოთხოვებათო.

საგულისხმოა, რომ ყოფილი მთავარი მწვრთნელები ცვლილებებს გაგებით მოეკიდნენ და გადამწყვეტეს, ახალ ამპლუაშიც ძალა და გამოცდილება ქართული ჭიდაობის განვითარებას მოახმარონ.

ლავა დიდა

ლავსო ცინცაქი

ჭალრაპი

ჯობაჯამ ბლიცში იყორაღა

ბოლნის ლეგნოცაში მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატზე (საქართველოს წარმომადგენლები, სამწუნაროდ, არცთუ სახარბიელოდ ასპარეზობენ — რვა ტურის შემდეგ ბაადურ ჯობაჯამს 5, მერაბ გაგუნაშვილს 4,5, თორნიკე სანიკიძეს 4 და დავით ლომსაძეს 2 ქულა აქვთ) შეიდა ტურის შემდეგ დასვენების დღე გამოცხადდა. ასპარეზობის ორგანიზატორებმა შუალედი ბლიცტურნირით შეავსეს. შეჯიბრებაში 83 მოჭადრაკე ჩაება. 10.5-10.5 ქულით პირველი-მეორე ადგილები მუსტაფა ილმაზმა (თურქეთი) და კატალინ არდე-ლეანმა (რუმინეთი) გაიყვეს. 10 ქულით მე-3 ადგილი ჯობაჯამს ერგო.



ნატა ნიზლაქი

რატრო

მთაში შექმნილი ეპოქა

საბარტმელოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ცნობილი ქართველი მთამსვლელის — გრიგოლ გულბანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ღონისძიება გაიხსნა ფოტოგამოფენით, სადაც სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ ფოტოსურათები, რომლებიც გრიგოლ გულბანის სპორტულ კარიერას ასახავს. გამოფენაზე გამოტანილი ფოტოების უმრავლესობის ავტორი თიკანაძეა. საღამოს გრიგოლ გულბანის მეგობრები ესწრებოდნენ, ადამიანები, რომლებიც არაერთხელ ყოფილან მასთან ერთად ურთულესი ტრავერსების შემსრულებლები და მათ გაიხსენეს დიდებული მთასველი. მათ შორის იყვნენ ცნობილი მთასველელები — აკაკი ხერგიანი და გივი ქართველისვილი. გრიგოლ გულბანის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე გაიმართა ინტერნეტბლოგის — <http://grigolgulbani.wordpress.com/> პრეზენტაცია. აღნიშნული ბლოგი არის გრიგოლ გულბანის შესახებ ვრცელი ინფორმაციის შემცველი ინტერნეტრესურსი. საღამოს დასკვნით ნაწილში ნაჩვენები იქნა ფილმი „მწვერვალთა დამპყრობი“. მისმა ავტორმა გიორგი ფრანგიშვილმა მოგვიანებით დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა. გრიგოლ გულბანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივით გაიმართა. ღონისძიების საინფორმაციო მხარდაჭერები რადიო STAR FM 93,9 და ინტერნეტურნალი Geosports.ge იყვნენ.

ვიტალი ჯაფარიძე



სასტენდო სროლა

ცეცხლის ხაზზე — ძველი გზარღია



საბარტმელოს ჩუბინებს სასტენდო სროლაში არაერთი წარმატებისთვის მიუღწევიათ საერთაშორისო სარბიელზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1991 წლიდან ვარკეთილის სასროლეთი განადგურდა, არა მარტო გამარჯვებებმა იკლო, არამედ სროლის ეს სახეობა მივიწყებას მიეცა. და აი, სასტენდო სროლის აღორძინება იწყება. ძველი სარბიელის ადგილას წლეულს ახალი შენდება. განზრახულია 3-3 ზაზის მშენებლო-

ბა როგორც მრგვალი, ისე სასანგრე სტენდისთვის. იგეგმება 50-მეტრიანი ლია ტირის მოწყობაც, რომელიც საერთოდ არ არის საქართველოში. სამუშაოების პირველი ეტაპი წლეულს დასრულდება — მსუბრში ჩადგება ორ-ორი სასანგრე და მრგვალი სტენდის სასროლეთი, ადმინისტრაციული შენობა, მეორე ეტაპზე დარჩენილი ორი მოედანი და ტირი შევა ექსპლუატაციაში. წლეულსვე შეიძენენ 10 იარაღს სასანგრე და მრგვალი სტენდისთვის. ზაზის მოწყობამდე ჩუბინები დროს არ კარგავენ. დედაქალაქის მერიის დაფინანსებით ვარკეთილის მშენებარე სასროლეთმა თბილისის პირველი სტენდის უმასპინძლა მრგვალი სტენდზე სროლაში. ცეცხლის ხაზზე ყველა გავიდა, ვინც კი სპორტის ამ სახეობას დღემდე შემორჩა. საასპარეზოდ მოსკოვიდან ჩამოვიდა პავლე ლაკია, რომელმაც 107 ქულით ვერცხლის მედალი მოიპოვა. 125-დან 109 სამიზნე დააზინა და ჩემპიონი გახდა დავით ქვათაძე. 106 ქულით მესამე ადგილი გივი შენგელიამ დაიკავა. ახალგაზრდებში საბრზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ირაკლი ლომიძე (99 ქულა), 2. თენგიზ იმნაიშვილი (95), 3. ლადო ნარჩემაშვილი (81).

გივი ბაგვა

ფარიკაოვა

სიჭარბაგაუის გამორჩეული

იტალიის ქალაქ ტერნში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ვეტერან მოფარიკავეთა შორის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ქართველმა მუშეკეტერმა, 1963 წლის მსოფლიო ჩემპიონმა ახალგაზრდებს შორის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ნიკოლოზ ანდრიაძემ. მან 70 წლის და უფროსი ასაკის ვეტერანთა შორის რაპირით ფარიკაობაში ჯგუფში 5 მოწინააღმდეგე დაამარცხა და მხოლოდ 1 შეხვედრა დათმო მომავალ ევროპის ჩემპიონ, რუსეთის წარმომადგენელ — გარი ავთანდილოვთან.

გიორგი შოთაძე



დაიჯესტი

„ქალური“ და „კაცური“ პოლუსები
დედამიწას ორი პოლუსი რომ აქვს – ჩრდილოეთი და სამხრეთი – ჯერ კიდევ სკოლის გეოგრაფიიდან იცის ყველამ, მაგრამ ბევრისთვის, შესაძლოა,



უცნობია, რომ სამხრეთ პოლუსზე, ანუ ანტარქტიდაში, გაცილებით უფრო ცივია ჰავა, ვიდრე ჩრდილოეთ პოლუსზე.

ორივე პოლუსი წარმოსახვითი წერტილია, რომელზეც დედამიწის ბრუნვის ღერძი გადის. დედამიწაზე ყველაზე თბილი ზონა ეკვატორის მიმდებარედ არის, ამდენად ჩვენითვის, ჩრდილოეთ ნახევარსფეროს მცხოვრებთათვის, სამხრეთი სითბოსთან ასოცირდება. მაგრამ სამხრეთ ნახევარსფეროს მცხოვრებთათვის თბილი მხარე ჩრდილოეთითაა განთავსებული.

ორი პოლუსის კლიმატი ერთმანეთისგან მართლაც დიდად განსხვავდება. ამის მიზეზი ისაა, რომ სამხრეთ პოლუსი კონტინენტზე მდებარეობს, ჩრდილოეთის კი – ოკეანეში. არქტიკაში წყლის ტემპერატურა ცელსიუსის 1,5 გრადუსია და რადგან ის მარილიანია, გაყინვის ტემპერატურა ნოღრადაუსზე ქვევითაა, მისგან მომავალი სითბო ყინულში გადის და ჰაერში იფანტება. ანტარქტიდაში კი მარტო ყინულია, რომლის ტემპერატურა ნოღრადაუსზე ათობით გრადუსით უფრო დაბალია. მაგრამ მთავარი ისაა, რომ მეექვსე კონტინენტის საშუალო სიმაღლე ორი ათასი მეტრია, ამიტომაც იქ გაცილებით მეტად ცივა. სანაპიროზე მუდამ ძლიერი ქარი უბერავს, სუსტი თოვლი იშვიათად მოდის ხოლმე, სამაგიეროდ ცა თითქმის ყოველთვის მონმენდილია. არქტიკაში კი ციკლონები და ანტიციკლონები მუდამ ცვლიან ერთმანეთს, ქარი ძლიერი იცის და მუდამ იცვლის მიმართულებას. ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მოგზაურები არქტიკის „ქალს“ უწოდებენ, ანტარქტიდის სიძნელეებს კი, უფრო მკაცრს, „მამაკაცურს“ ეძახიან.

სტრესის წაშლი

ბრიტანელ ექიმთა აზრით, სტრესის მოხსნისა და ნერვული განცდების დასაშოშმინებლად საუკეთესო საშუალება წიგნის კითხვაა. ექსპერიმენტის დროს მათ იმის დადგენა სცადეს, თუ რა შედეგის ადამიანს სტრესულ მდგომარეობაში, რის-



თვისაც მოხალისეებს ჯერ გარკვეული ვარჯიშები აკეთებინეს, რომლებიც სტრესს ინვევენ, მერე კი მუსიკის მოსმენით, სეირნობით და წიგნების კითხვით ამ სტრესების მოხსნას ეცადნენ, რა დროსაც გამოსაცდელების პულსს ზომავდნენ. აღმოჩნდა, რომ ყველაზე უკეთ სტრესებს წიგნები ხსნიან: გამოსაცდელთა 68 პროცენტს დასამშვიდებლად წიგნის წაკითხვა მხოლოდ ექვსი წუთი სჭირდება. სასიამოვნო მუსიკამ სტრესი შემთხვევითაა 61 პროცენტს მოუხსნა, ფინჯანმა ყავამ, ან ჩაიმ – შემთხვევითაა 54 პროცენტში, გასეირნებამ – 42 პროცენტში.

სასივამო... ჩაი

აღმოჩნდა, რომ ცივი ჩაი თირკმელებში კენჭების წარმოქმნას უწყობს ხელს. იგი, თურმე, მჟაუნმჟავის ეთერებისა და მარილების (ოქსალატების) წარმოშობის პირობებს ჰქმნის, რომლებიც შარდმდენებში ილექება, ხოლო დიდ ზომებს რომ აღწევენ, იქვე იჭედებიან. ოქსალატების გამოყოფას კი ამცირებენ კალციუმით მდიდარი პროდუქტები, კერძოდ, რძე.

დამწროვის თავიდან ასაცილებლად

ზღიზე გარუჯვა, იცოცხლეთ, ბევრს უყვარს, თუმცა კი მზის აბაზანების სიჭარბეს სწორად მტკიანდარასიამოვნო შედეგება მოყვება ხოლმე, თუნდაც დამწროვის სახით.



ჰოდა, აღმოჩნდა, რომ მზის დამწრობას კარგად შეეღობა მარწყვი. კენკრისთვის წითელი ფერის მიმცემი ანტოცინები კანს მავნე ულტრაიისფერი გამოსხივებისგან იცავენ. ჯერჯერობით ექსპერიმენტი მხოლოდ ხელოვნურ გარემოებებშია ჩატარებული, რომლებიც ადამიანის კანის იმიტირებას ახდენენ, მაგრამ შეშუპებათა და ანთებათა მოხსნის ანტოცინების უნარი შეიძლება დამტკიცებულ ფაქტად მივიჩნიოთ.

თავის ტვინის „სანახევრო“ მსველი

აღიზიანებს, თურმე, ერთი ისეთი დადებითი თვისება ჰქონია, რომელიც მის უარყოფით მხარეებს ჩრდილავს. აღმოჩნდა, რომ მათ, ვისაც ალერგია აწუხებთ, თავის ტვინის კიბოს გაჩენის 50 პროცენტით ნაკლები ალბათობა აქვთ.

მეცნიერები ამას იმით ხსნიან, რომ ალერგიის დროს ორგანიზმში აქტიურად გამოიშვება ანტისხეულები, რომლებიც იმუნიტეტს საგრძობლად ამაგრებენ. ამდენად, თავის ტვინის კიბოს გარდა ქრონიკული ალერგიის ორგანიზმი უფრო მდგრადი სხვა დაავადებათა მიმართაც არის.

ჩვენი პრესდაიჯესტი

კაპიტალიზმი ვახუსებოვან



„ოპოზიციას ვურჩევ, პრეზიდენტობის კანდიდატად ნინო ბურჯანაძე ადამიანად“

– მიიჩნევს ვერაზის ინსტიტუტის ექსპერტი ნანა დევდარიანი, – მე ვითვალისწინებ ყველაფერს: მის პოლიტიკურ გამოცდილებას, ურთიერთობას დასავლეთთან, ურთიერთობას რუსეთთან, მათ შორის ისეთ თვისებას, როგორც არის გაწონასწორებულობა და დინჯი მიდგომა საკითხებისადმი. ასე რომ, თუ ოპოზიცია ამას მოახერხებს, ეს იქნება ძალიან კარგი, რადგან მარგველაშვილის კანდიდატურის წამოყენებამ კოალიციის მხრიდან, სერიოზულად გაზარდა ნინო ბურჯანაძის შანსები.

„ახალი თარგა“

შმაღლესი სტატუსის შვიცვლა – საფრთხე რეპორაჟისტების

კანონმდომიერ სახელმწიფო უნივერსიტეტების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად (სსიპ) გადაკეთებასთან დაკავშირებით, შესაძლებელია, რეალური საფრთხე არა თავად უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიას, არამედ მათ დღევანდელ რექტორებს შეუქმნას. საქმე ის არის, რომ სსიპ-ად გადაკეთებისთანავე რექტორები მოვალეობის შემსრულებლებით უნდა შეიცვალოს, შემდეგ კი რექტორის არჩევნები დაინიშნოს. დიდი ალბათობაა იმისა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტების ამჟამინდელი რექტორები კანონპროექტის ინიციატორმა მმართველმა ძალამ მოვალეობის შემსრულებლად დაანინაურონ.

„რეზონანსი“


რატომ არის ცისკარიშვილი ჯარული ჩანაწერების განადგურების წინააღმდეგ?

შინაბან საქმეთა მინისტრის განცხადება, რომ მიღებულია გადაწყვეტილება პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების დაუყოვნებლივ განადგურების შესახებ, ექსპერტ სოსო ცისკარიშვილს გაუმართლებლად მიაჩნია, რადგან მტკიცებულებებისა და ჩანაწერების არსებობას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ექსპერტის განცხადებით, მსგავსი ჩანაწერების განადგურება სამომავლოდ უამრავ ბრალდებას დაუმტკიცებელსა და უპასუხოს დატოვებს.

„ალია“

რეკლამა ბ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

იზანიჩმა, რომელმაც არ იცის, როგორ მართოს თავისი ცხოვრება, ერთი ბოთლი არაყის მერე იცის, როგორ მართოს ქვეყანა.

ერთი და იმავე საქმის კეთება სწრაფად გწყინდება, ადამიანებისთვის სულში ჩაფურთხება კი – არასდროს...

იშისი შეფარებული თვალებით კატიამინხდა, რომ იგი თავ-



ფენიანად მისია და შეუძლია, ყველაფერი წაართვას.

ჩინოვებში ეკლესიაში ლოცულობს: – ღმერთო, სულ მცირედსა გთხოვ, ოღონდ ქრთამზე არ დავიწვა, თორემ დანარჩენს ყველაფერს ვვიცი.

ჩემს ყოფილ მეზობელს მუდამ დებილად მივიჩნევდი. მერე კი გავიგე, რომ თავისთვის მილიონ დოლარიანი სახლი უყიდა. ახლა ვფიქრობ, რომელია ჩვენს შორის დებილი?

Advertisement for Sakartvelos Respublika newspaper, including contact information, subscription rates, and a barcode.